პროლეტარიელებო, ერთიანდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

სამშაბათი, 29 იანვარი, 1952 წ. № 24 (9184). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

ავამაღლოთ რაიონული გაზეთების დონე — „პრავდის“ 27-I მოწინავე (1-ლი გვერდი).

სამგლოვიარო დეკეშები მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ მარშალ ჩოიბალსანის გარდაცვალების შესახებ (1-ლი გვერდი).

პარტიული ჯგუფები კარგად მუშაობენ (მე-2 გვერდი).

ნოვატორთა გამოცდილება — მასებს (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში (მე-2 გვერდი).

იტალიის მთავრობის ნოტა, რომელიც 1951 წლის 8 დეკემბერს გადასცა ელჩმა ბროზიომ (მე-2 გვერდი).

საბჭოთა მთავრობის ნოტა, რომელიც 1952 წლის 25 იანვარს გადასცა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ა. გრომიკომ (მე-2 გვერდი).

მომზადებულია ფეოდალური ზაფხულო თესვის (მე-3 გვერდი).

ი. ზვიადგინი — საბჭოთა მეცნიერების მოხილვა (მე-3 გვერდი).

ფულის რეფორმა და ფასების შემცირება რუმინეთში (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ავამაღლოთ რაიონული გაზეთების დონე

ჩვენს ქვეყანაში პირველად ისტორიაში განხორციელდა პრესის ნამდვილი თავისუფლება. არსად არ არის მუშების, გლეხების, ინტელიგენციის პრესის ისეთი თავისუფლება, როგორც საბჭოთა კავშირში. არსად არ არის იმდენი მუშათა და გლეხთა გაზეთი, როგორც ჩვენში.

„პრესა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — უნდა იზრდებოდეს არა დღეითით, არამედ საათობით,—ეს ჩვენი პარტიის ყველაზე ბასრი და ყველაზე ძლიერი იარაღია“.

ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი და გამოწრთობილი ბოლშევიკური პრესა კომუნისტური მშენებლობის მძლავრ ძალად გაიზარდა. ჩვენი გაზეთები ახრულებენ კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და მასების ორგანიზატორის როლს.

მრავალ ათას გაზეთში, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში გამოდის, დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია რაიონულ პრესას. ჩვენში გამოდის ოთხი ათასზე მეტი რაიონული გაზეთი, მათი ერთჯერადი ტირაჟი შვიდ მილიონ ცალს აღემატება. რაიონული გაზეთების მკითხველები არიან უწინარეს ყოვლისა საკოლმეურნეო ხოფლის მშრომელები.

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანები, სოციალისტური ხოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობის ინტერესები რაიონულ პრესის წინაშე სულ უფრო გადიდებულ მოთხოვნებს აყენებენ, იგი მოწოდებულია არ ჩამორჩეს ცხოვრებას, დააკმაყოფილოს კოლმეურნეთა მასების მოთხოვნილება, რომელთა იდეური და კულტურული დონე განუზომლად ამაღლდა. კოლმეურნე მკითხველს სურს გაზეთის ყოველ ნომერში ნახოს თავისი რაიონის, ოლქის, მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრება. მას სურს, რომ გაზეთი ასახავდეს კოლმეურნეთა მასების მჩქეფარე აქტიურობასა და შემოქმედებითს ინიციატივას, მათს შრომითს საგმირო საქმეებს.

ჩვენში არის რაიონული გაზეთები, რომლებიც კარგად ართმევენ თავს თავიანთ ამოცანებს და პარტიული ორგანიზაციების აქტიური თანაშემწეები არიან შრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, ხოფლად სამეურნეო და კულტურული შენებლობის საქმეში.

მაგრამ უნდა ვალიაროთ, რომ რაიონული პრესის საქმიანობაში ჯერ კიდევ ხერიოზული ნაკლოვანებებია. ბევრი რაიონული გაზეთის იდეურ-პოლიტიკური და კულტურული დონე დაბალია და ვერ აკმაყოფილებს მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნილებას. გაზეთების რედაქციები უმთავრესად ბეჭდავენ შტატის თანშრომლების მასალებს, მაშინ როცა პარტიულ და საბჭოთა აქტივს, მოწინავე კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, ხოფლის ინტელიგენციას საკმაოდ არ ანბანენ გაზეთების მუშობაში. ბევრი რაიონული გაზეთი ივსება ადგილობრივი ორგანიზაციების დადგენილებებით, კრებებისა და სხდომების ანგარიშებით, რითაც კარგავს მახობრივი საკოლმეურნეო გაზეთების ხასიათ.

რაიონული გაზეთები ხუსტად ახორციელებენ თავიანთ იმ ძირითად ამოცანას, რომ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკისა და ღონისძიებათა ბრძოლაგანდის საფუძველზე, ადგილობრივი ცხოვრების კონკრეტული, კოლმეურნეთათვის მასლობელი და გასაგები ფაქტების საფუძველზე, იდეურ-პოლიტიკურად აღზარდონ მოსახლეობა, დარაზმონ კოლმეურნეები რაიონის წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად.

რაიონული გაზეთების ფურცლებზე ხუხტად წარმოებს მოწინავე კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების გამოცდილების, წარმოების ნოვატორთა შრომის შეთოდების პროპაგანდა. ცოტა იბეჭდება მასალები კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საკითხებსა და ხასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის სოციალისტური შეჯიბრების საკითხებზე.

გაზეთები ცუდად აშუქებენ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების, ხასოფლო საბჭოების, სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობას. ბევრი რაიონული გაზეთი დაუდევრად არის რედაქტირებული, ლიტერატურულად ხუხტია და პოლიგრაფიულად ცუდად არის გაფორმებული.

პარტიის რაიკომები ხშირად არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ რაიონულ პრესას. რაიკომების პირველი მდივნები, იმის ნაცვლად, რომ პირადად უხელმძღვანელონ რაიონულ გაზეთებს და ყოველდღიურად წარმართონ მათი მუშაობა, ხშირად გაზეთებისადმი ხელმძღვანელობას აკისრებენ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა მიუხედავად, მთელ რიგ ოლქებში რაიონული გაზეთების რედაქტორებს სისტემატურად იყენებენ როგორც პარტიის რაიკომების რწმუნებულებს სამეურნეო კამპანიების მოსაწყობად, ხოლო გაზეთების რედაქტორებას ახეთ შემთხვევებში ანდობენ მეორეხარისხოვან მუშაკებს. ნაკლებ ყურადღებას აქცევენ რაიონული გაზეთებისადმი ხელმძღვანელობის საკითხებს აგრეთვე საკავშირო კ. პ. (ბ) ხაოლქო და სამხარეო კომიტეტები და მოკავშირე რესპუბლიკათა კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტები. ისინი ჯეროვნად არ ზრუნავენ რაიონული პრესის მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებანი რაიონული გაზეთების ხერიოზული გაუმჯობესებისათვის, მიაღწიონ იმას, რომ გაძლიერდეს მათი აღმზრდელობითი და მაორგანიზებელი როლი ხოფლად პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მუშაობის აღმავლობის საქმეში.

რაიონული გაზეთების ამოცანა ამჟამად ის არის, რომ ადგილობრივი ცხოვრების კონკრეტული ფაქტებით ფართოდ გააშუქონ ხოფლის მეურნეობის მშრომელთა ხოციალისტური შეჯიბრება ყველა სახოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებისათვის, ხაზოგადოებრივი პირუტყვის ხულადობის ყოველი ღონისძიებით გამრავლებისა და მისი პროდუქტიულობის ზრდისათვის, კოლმეურნეობათა ხაზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის, მტს-ებისა და კოლმეურნეობების ტექნიკის ხრულად გამოყენებისათვის. რაიონულმა პრესამ მშრომელები უნდა აღზარდოს შრომისა და ხაზოგადოებრივი მეურნეობისადმი შეგნებული, კომუნისტური დამოკიდებულების ხულისკვეთებით, იბრძოლოს საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონის — ხასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უაღრესად მტკიცედ დაცვისათვის.

პრესა მოწინავე გამოცდილების ტრიბუნაა. რაიონული გაზეთების მოვალეობაა გაავრცელონ ხოფლის მეურნეობის გაძღოლის მეცნიერული მეთოდები, მოწინავე აგროტექნიკის მიღწევები, განაზოგადონ და გაავრცელონ მოწინავე კოლმეურნეობებისა და მტს-ების გამოცდილება, მემინდვრეობისა და მეცხოველეობის ოსტატთა, ტრაქტორისტთა, კომბაინერთა, მექანიკოსთა შრომის მეთოდები.

რაიონული პრესა მოვალეა ყოველმხრივ გააშუქოს ადგილობრივი მრეწველობის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სკოლების, სახოფლო საბჭოების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა, საქმიანად, ბოლშევიკურად გააკრიტიკოს კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების, სახოფლო საბჭოების, სახოფლო-სამეურნეო ორგანოების, კულტურული დაწესებულებებისა და ხაზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებანი.

გაზეთი მკითხველს უნდა ახარებდეს თავისი შინაარსით, ლიტერატურის კარგი ცოდნით, კარგი პოლიგრაფიული გაფორმებით. საჭიროა, რომ რაიონულმა გაზეთმა ყოველ ნომერში დაუთმოს ადგილი ცოცხალი, გასაგები ენით დაწერილ მოწინავე სტატიას საჭიბოროტო თემაზე; კორესპონდენციებსა და წერილებს კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საწარმოების, საბჭოების, საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და კულტურული დაწესებულებების მუშაობის შესახებ; სტატიებს წარმოების ნოვატორთა შრომის მეთოდების შესახებ; კოლმეურნეთა წერილებს; მკაფიო შინაარსის ინფორმაციას რაიონის, ოლქის, მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრების შესახებ. ყოველკვირეულად უნდა ქვეყნდებოდეს საკალენდარიო მიმოხილვები საერთაშორისო ამბების შესახებ.

ჩვენი პრესის ძალას წარმოადგენს მისი მჭიდრო კავშირი მასებთან. მხოლოდ რაიონული გაზეთის იმ რედაქციას შეუძლია წარმატებით შეასრულოს თავისი ამოცანები, რომელიც პრესაში ფართო მონაწილეობას მიაღებინებს წარმოების მოწინავეებს, ხოფლის პარტიულ, კომკავშირულ და საბჭოთა აქტივს, მასწავლებლებს, ხოფლის მეურნეობის სპეციალისტებს და რომელიც სისტემატურად მუშაობს ავტორთა აქტივთან.

ყოველი საქმის წარმატებას წყვეტენ ადამიანები, კადრები, ამიტომ ადგილობრივი პარტიული ორგანოების ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა განამტკიცონ რაიონული გაზეთების რედაქციები მომზადებული, უნარიანი მუშაკებით, რომლებსაც გაზეთის საქმე უყვართ. რაიონული გაზეთების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ გაზეთებს, პრესის მიმოხილვის რეგულარულად გამოქვეყნებით, რაიონული გაზეთების რედაქტორებისა და რედაქციათა მდივნებისათვის პრაქტიკის მოწყობით.

რაიონული პრესის წინაშე დიდ ვალში არიან პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობათა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა მთავარი სამმართველო და მისი ადგილობრივი ორგანოები. ისინი ჯეროვნად ვერ ახორციელებენ რაიონული გაზეთების სტამბებისადმი ტექნიკურ ხელმძღვანელობას, არ ზრუნავენ ახალი მოწყობილობით სტამბების შევსებისათვის. ძირეულად უნდა გაუმჯობესოს რაიონული გაზეთების მომსახურება საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტომ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი განუწყვეტლივ ზრუნავს რაიონული პრესის განვითარებისათვის, უდიდეს დახმარებას უწევს მას. ადგილობრივი პარტიული ორგანოების ვალია მიაღწიონ ახალ აღმავლობას რაიონული პრესის მუშაობაში, აამაღლონ მისი როლი კომუნისტური მშენებლობის საქმეში, საბჭოთა პატრიოტიზმის ხულისკვეთებით, ლენინ-სტალინის დიადი იდეების ხულისკვეთებით მახების აღზრდის საქმეში.

„პრავდის“ 27/I მოწინავე

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მწერალ ი. ა. ნოვიკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მხატვრული ლიტერატურის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით მწერალი ივანე ალექსის-ძე ნოვიკოვი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1952 წლის 25 იანვარი.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო უდიდესი მწუხარებით აუწყებენ პარტიასა და ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს, რომ 1952 წლის 26 იანვარს 18 საათსა და 50 წუთზე ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის (თირკმლის კიბო) შემდეგ მოსკოვში გარდაიცვალა ჩვენი პარტიისა და მთელი მონღოლი ხალხის ძვირფასი და საყვარელი ორგანიზატორი და ბელადი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, ჩვენი ძვირფასი და დაუვიწყარი მეგობარი და ამხანაგი მარშალი ჩოიბალსანი. ამხანაგ ჩოიბალსანის, უშიშარი სუხე-ბატორის ახლო მეგობრისა და თანამებრძოლის, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ფუძემდებლისა და ხელმძღვანელის, ჩვენი ხალხის საყვარელი ბელადის, გარდაცვალება მძიმე დანაკლისია მთელი ჩვენი პარტიისა და ჩვენი ხალხისათვის.

ამხ. ჩოიბალსანის სახელთან, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა ჩვენი ქვეყნის სახალხო რევოლუციისა და აყვავების საქმეს, დაკავშირებულია მთელი ისტორია ჩვენი პარტიისა და ჩვენი სახელმწიფოსი, რომელიც სოციალიზმის გზით მიდის.

დიდი მწუხარებით ვხრით თავს ჩვენი ძვირფასი ჩოიბალსანის — მგზნებარე რევოლუციონერის, მშრომელთა ბედნიერებისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის დაუღალავი მებრძოლის, ხალხთა მეგობრობისა და დიდ საბჭოთა კავშირთან ჩვენი ხალხის მეგობრობისათვის დაუღალავი მებრძოლის, ნათელი ხსოვნის წინაშე.

ჩვენი საყვარელი და ძვირფასი ბელადის ამხანაგ ჩოიბალსანის მთელი მშვენიერი საბრძოლო სიცოცხლე პარტიის ყველა წევრისა და ჩვენი ქვეყნის მშრომელებისათვის ნათელი მაგალითი იქნება სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმი

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ 26 იანვარს 18 საათსა და 50 წუთზე ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის (თირკმლის კიბო) შემდეგ მოსკოვში კრემლის საავადმყოფოში გარდაიცვალა მონღოლეთი ხალხის ბელადი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის პოლიტბიუროს წევრი, საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარი მარშალი ჩოიბალსანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი იზიარებს თქვენს დიდ მწუხარებას მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელის, მონღოლი ხალხის გმირის სუხე-ბატორის თანამებრძოლისა და მეგობრის, მონღოლეთის სახალხო სახელმწიფოს შემქმნელის მარშალ ჩოიბალსანის გარდაცვალების გამო.

ამხანაგ ჩოიბალსანის სახით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებმა დაკარგეს მონღოლი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დიდი მებრძოლი, ორგანიზატორი მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისა, რომლის ხელმძღვანელობითაც მონღოლმა ხალხმა დაამხო ფეოდალებისა და უცხოელი კოლონიზატორების ხელისუფლება და დაადგა სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზას.

საბჭოთა კავშირის ხალხები, რომლებშიც სამუდამოდ დარჩება მონღოლი ხალხის გამოჩენილი ბელადის ამხანაგ ჩოიბალსანის ნათელი ხსოვნა, გამოთქვამენ რწმენას, რომ მონღოლი ხალხი იცლის წინ სუხე-ბატორისა და ჩოიბალსანის მიერ ნაჩვენები გზით.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ 26 იანვარს 18 საათსა და 50 წუთზე ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის (თირკმლის კიბო) შემდეგ მოსკოვში კრემლის საავადმყოფოში გარდაიცვალა მონღოლეთი ხალხის ბელადი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის პოლიტბიუროს წევრი, ხაბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარი მარშალი ჩოიბალსანი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მონღოლი ხალხის ბელადის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მარშალ ჩოიბალსანის გარდაცვალების გამო.

სამეგიცინო დასკვნა

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მარშალ ჩოიბალსანის ავადმყოფობისა და გარდაცვალების მიზეზის შესახებ

მარშალი ჩოიბალსანი დიდი ხნის განმავლობაში იყო ავად მარცხენა თირკმლის ავთვისებიანი სიმსივნით (კიბო), რის გამო მას გაუკეთეს ოპერაცია — ამოკვეთეს დაავადებული თირკმელი და მარცხენა თირკმლისზედა ჯირკვლის სიმსივნის დაშლილი მეტასტაზი.

გულ-სისხლის ძარღვების მოქმედების შესუსტების მზარდი მოვლენებისას მარშალი ჩოიბალსანი გარდაიცვალა 1952 წლის 26 იანვარს 18 საათსა და 50 წუთზე.

პათოლოგიურ-ანატომიური განკვეთით აღმოჩენილ იქნა მეტასტაზები (სიმსივნის გავრცელება) დიაფრაგმის არეში და მარჯვენა თირკმლისზედა ჯირკვალში, რომელიც დაშლილი იყო.

მარშალი ჩოიბალსანი გარდაიცვალა თირკმლისზედა ჯირკვლის ფუნქციის სრული მოშლის გამო.

კრემლის სამკურნალო-სანატორიუმის სამმართველოს უფროსი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი პ. ეგოროვი

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ა. ბაკულევი

პროფესორები ა. აბრამიანი,
ა. ფრუმკინი,
ექიმი გ. ელისეევი.

პათოლოგ-ანატომები:

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ა. აბრიკოსოვი

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ფ. აბრიკოსოვა.

1952 წ. 26 იანვარი.

მთელი რიგი წლების განმავლობაში მარშალი ჩოიბალსანი სერიოზულად იყო ავად. უკანასკნელ ხანს მარშალ ჩოიბალსანის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა, რის გამო მარშალმა ჩოიბალსანმა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ მიმართეს საბჭოთა მთავრობას თხოვნით გაეგზავნა მონღოლეთს საბჭოთა ექიმები კონსულტაციისათვის. ულან-ბატორს გაგზავნილ იქნენ პროფესორი ა. ა. ვიშნევსკი და ექიმი-კონსულტანტი ა. ნ. ბუზნიკოვი.

ადგილობრივ სამკურნალო ღონისძიებათა მიღების შემდეგ, მარშალი ჩოიბალსანი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის შარაპისა და თავისი მეუღლის გუნტეგმის, აგრეთვე პროფესორ ა. ა. ვიშნევსკის, ექიმ-კონსულტანტ ა. ნ. ბუზნიკოვისა და მკურნალ ექიმის გ. ი. ელისეევის თანხლებით 14 იანვარს მოსკოეს ჩამოვიდა და მოთავსებულ იქნა კრემლის საავადმყოფოში.

ავადმყოფის გასინჯვამ, რაც მოხდენილ იქნა გამოჩენილ სპეციალისტთა მონაწილეობით, ცხადყო, რომ მარშალ ჩოიბალსანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვდა დაუყოვნებლივ ოპერაციულ ჩარევას. ავადმყოფის, მისი ნათესავებისა და მეგობრების თანხმობით მოხდენილ იქნა ოპერაცია, რამაც, სამწუხაროდ, დადებითი შედეგი არ გამოიღო.

მარშალ ჩოიბალსანის გარდაცვალების გამო

საყოველთაო-სახალხო გლოვა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში

ულან-ბატორი, 27 იანვარი. (საკდესი). მონღოლი ხალხის ბელადის მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მარშალ ჩოიბალსანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ საყოველთაო-სახალხო გლოვა გამოაცხადა მთელ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში.

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

მინსკი, 26 იანვარი. (საკდესი). დღეს მუშაობა დაამთავრა ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმმა. პლენუმმა მოისმინა ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. პატოლიჩევის მოხსენება „1952 წელს ბელორუსიის სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“, აგრეთვე ბელორუსიის კ. პ. (ბ) ბარანოვიჩის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. პოკროვსკისა და ბელორუსიის კ. პ. (ბ) ვიტებსკის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. პროხოროვის მოხსენებები საოლქო პარტიულ ორგანიზაციებში ორგანიზაციულ-პარტიული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

მოხსენებათა გამო კამათში გამოვიდა 38 კაცი.

განხილულ საკითხთა შესახებ პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

ციმღიანსკაიას ზღვა

ციმლიანსკაია (როსტოვის ოლქი). 24 იანვარი. (საკდესი). ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძის ბეტონის კაშხალის მშენებლებმა რკინაბეტონის ფარით დახურეს ფსკერის მეცხრე ხვრეტილი. ახლა წყალი უდიდესი სისწრაფით, რაც წამში 10 მეტრს აღწევს, გადის ფსკერის ერთ ღია ხვრეტილში, რომელიც არ დაიხურება.

კაშხალის ფსკერის ხვრეტილების დახურვა დაიწყო 15 იანვარს. თავდაპირველად წყლის დონე მაღლა იწევდა მიმყვან არხში, შემდეგ მდინარეში, დღეს კი წყალმა გადალახა ნაპირები და დაიწყო ციმლიანსკაიას წყალსაცავის ავსება.

ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძის მშენებლობის უფროსმა ამხ. ბარაბანოვმა განაცხადა:

—მშენებლებმა პირნათლად შეასრულეს ვალდებულება—ვადამდე დაამთავრეს ვეებერთელა წყალსაცავის ავსებისათვის მზადება. ახლა შესაძლებლობა გვაქვს ზუსტად მოვაწესრიგოთ კაშხალს ქვემოთ მდინარეში წყლის გადაგდება.

ფსკერის ხვრეტილების დახურვით უკვე იქმნება ციმლიანსკაიას ზღვა.

პარტიული ცხოვრება

პარტიული ჯგუფები კარგად მუშაობენ

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს კოლექტივმა გასული წლის საწარმოო გეგმა ყველა დარგში გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად შეასრულა, ამასთან სამშობლოს გეგმის გადამეტებით 2.019.000 მანეთი ზეგეგმური მოგება მისცა.

გასული წლის პირველი იანვრიდან ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს კოლექტივს მგზავრთა გადაყვანის წლიური გეგმა 13 პროცენტით გაუდიდდა, ხოლო 1952 წელს—12 პროცენტით.

ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრაში განსაკუთრებით დიდია საამქროთა პარტიული ჯგუფების როლი, რადგან ისინი ყველაზე ახლო დგანან მუშებთან, იმათთან, ვინც უშუალოდ წყვეტს გეგმების შესრულების ბედს.

სამმართველოს საამქროებში რამდენიმე წელია არსებობს 8 პარტიული ჯგუფი, რომლებსაც მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვთ. ისინი ქმედით დახმარებას უწევენ საამქროთა ადმინისტრაციას საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულების საქმეში.

კარგად მუშაობს მექანიკური საამქროს პარტიული ჯგუფი, რომლის ორგანიზატორია სტახანოველი ზეინკალი ს. ფოცხვერაშვილი. ჯგუფში გაერთიანებულია 13 კომუნისტი. თვითეული მათგანი სანიმუშოდ მუშაობს. პარტიული ჯგუფის წევრები ხშირად მსჯელობენ ისეთ საკითხებზე, როგორიც არის საწარმოო დავალებათა შესრულების მიმდინარეობა, კომუნისტების ავანგარდული როლის გაძლიერება, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება, საწარმოო დისციპლინა, წარმოებაში შრომის სოციალისტური მეთოდების დანერგვა, პროდუქციისა და ვაგონების შეკეთების ხარისხის ამაღლება, შრომის ორგანიზაცია, საგიტაციო-მასობრივი მუშაობა, წარმოების კულტურა და სხვ.

ზეინკლის მოწაფე ჯ. ჯილავდარავი და ხარატის მოწაფე ს. პეტროსიანი ხშირად არღვევდნენ შრომის დისციპლინას, არ ზრუნავდნენ იმისათვის, რომ ღრმად დაუფლებოდნენ პროფესიას. პარტიული ჯგუფის ორგანიზატორს ს. ფოცხვერაშვილს ეს შეუმჩნეველი არ დარჩა და შეისწავლა მათი მუშაობა, ამ საკითხზე იმსჯელეს პარტიული ჯგუფის წევრებმა და გადაწყვიტეს მიემგზავრებინათ ისინი გამოცდილი სტახანოველი მუშებისათვის. ს. ფოცხვერაშვილი სისტემატურად ეხმარებოდა პეტროსიანსა და ჯილავდაროვს მუშაობაში, ამოწმებდა მათს საქმიანობას. მალე ისინი დაწინაურდნენ, საუკეთესოდ შეისწავლეს ხელობა. ახლა ორივე გამოირჩევა ბეჯითი შრომით. ყოველდღიურ დავალებებს 250-300 პროცენტით ასრულებენ და ხხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებენ.

ყველა კომუნისტს მიცემული აქვს პარტიული დავალება. პარტიული დავალების განაწილებისას პარტიული ჯგუფის ორგანიზატორი მხედველობაში იღებს თვითეული კომუნისტის შესაძლებლობასა და სურვილს. ამასთან სისტემატურად ეხმარება მათ დავალების შესრულებაში. პარტიული ჯგუფის წევრები ინჟინერი ოლია ბატონისაშვილი, საამქროს უფროსი გრიგოლ ჭანტურია, სამჭედლო საამქროს ოსტატი ნიკოლოზ ჩერვიაკოვი, ცვლის ოსტატი ბატრაკოვი აგიტატორები არიან, ისინი მიმზიდველად მოუთხრობენ თავიანთი საგიტაციო ჯგუფების წევრებს კომუნიზმის დიად მშენებლობებზე, საბალხო დემოკრატიული ქვეყნების მიღწევებზე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვის შესახებ, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. აგიტატორები თავიანთ საუბრებს მოხერხებულად უკავშირებენ ადგილობრივ ცხოვრებას, საუბრობენ საწარმოო დისციპლინის, ხარისხისათვის ბრძოლის საკითხებზე, ეწევიან მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას.

პარტიული ჯგუფის წევრი, სტახანოველი ზეინკალი ვლადიმერ სუხიშვილი საამქროს პროფჯგუფორგად მუშაობს და საუკეთესოდ ასრულებს ამ დავალებას. პარტიული ჯგუფის წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ვაგონშემკეთებელი სახელოსნოს კედლის გაზეთ „სტახანოველის“ მუშაობაში. კედლის გაზეთში ათავსებენ კრიტიკულ შენიშვნებს, წერილებს საწარმოო დავალებათა შესრულებაზე, ახალგაზრდა მუშების ცხოვრებაზე, პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაზე, მოწინავე მუშების გამოცდილების შესახებ და სხვ. პარტიული ჯგუფის წევრების ინიციატივით საამქროში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრების მთავარ პირობად დასახულია შრომის ნაყოფიერების ზრდა და პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება. კომუნისტების თაოსნობით საამქროს კოლექტივი ფართოდ გამოეხმაურა მოსკოველი ნოვატორების მარიამ ლევჩენკოსა და გრიგოლ მუხაროვის ინიციატივას თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე თვითღირებულების შემცირებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. ასევე მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა ლიუბლინოელი ხარატების ანტონინა ჟანდაროვასა და ოლია აგაფონოვას თაოსნობამ, ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება თვითეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესო ხარისხით შესრულებისათვის.

მექანიკური საამქროს პარტიული ჯგუფის წევრის ა. ვენცკევიჩის მიერ შექმნილი სპეციალური სამარჯვის გამოყენებამ შეცვალა ვაგონის ჰაერსაწნეხის ცილინდრისა და დგუშის დამზადების ტექნოლოგია, 50 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება, ამასთან გაუმჯობესა გამომვებული დეტალების ხარისხი. თუ ამს. ვენცკევიჩის რაციონალიზატორული ღონისძიების წარმოებაში დანერგვამდე, ერთი ხარატი 8 საათის განმავლობაში 5 ცალ აღნიშნულ დეტალს ამზადებდა, ამჟამად ათსა და მეტს ამზადებს. კომუნისტმა ხარატმა გ. წიკლაურმა აითვისა და დაამზადა ტროლეიბუსის ჭიანჭველა, რომელიც თბილისის ქარხნებში არ მზადდებოდა. ამჟამად აღნიშნული დეტალი ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მექანიკურ საამქროში მზადდება. ამასთან თვითეული დეტალის ღირებულება შემცირებულია 50 პროცენტით.

საამქროს პარტიულმა ჯგუფმა ხარატების ა. ვენცკევიჩისა და გ. წიკლაურის მუშაობის მეთოდები ფართოდ დანერგა საამქროში. ამჟამად ამ მეთოდებით წარმატებით მუშაობენ ხარატები ვ. ფოფხაძე, დ. კარასოვი, ე. ოგანეზოვი, ი. ჩიბისკოვი და სხვები, რომლებიც ყოველდღიურ დავალებას 300-350 პროცენტით ასრულებენ. პარტიული ჯგუფის კომუნისტების კარგი მუშაობით აისნება, რომ საამქროს გასული წლის საწარმოო გეგმა 205,3 პროცენტით შესრულა, ხოლო მიმდინარე წლის იანვრის დავალება 10 დღით ადრე — 20 იანვარს გაანაღდა და მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია გამოუშვა.

ტროლეიბუსის სახელოსნოს პარტიულმა ჯგუფმა, რომლის ორგანიზატორია ცვლის ოსტატი რ. ჩაჩანოვი, კარგად მოაწყო პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა კომუნისტებში, კომკავშირელებსა და უპარტიო მუშამოსამსახურეებში. კომუნისტები ელექტრომონტიორი თ. გიგაშვილი, ზეინკალი დ. მალიარავი, ამწყობი ტ. მუჯირიშვილი, ტროლეიბუსის ამწყობი გ. ქორაძე და სხვები ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 250-300 პროცენტით ასრულებენ.

ტრამვაი-ტროლეიბუსის სახელოსნოს პარტიული ბიუროს საჭირო დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევს საამქროების პარტიულ ჯგუფებს, სისტემატურად სწავლობს და ბიუროს სხდომებზე იხილავს მათი მუშაობის საკითხებს, ამოწმებს მიღებულ დადგენილებათა შესრულებას.

სამსხმველო საამქრო საწარმოო გეგმას თითქმის მუდამ ასრულებდა, მაგრამ დიდძალ უხარისხო პროდუქციას უშვებდა. საამქროში იყო შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. სახელოსნოს პარტიულმა ბიურომ გამოჰყო კომისია, რომელმაც შეამოწმა სამსხმველო საამქროს პარტიული ჯგუფის საქმიანობა. გამოირკვა, რომ იგი არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა, ჯგუფის წევრები იშვიათად იკრიბებოდნენ, არ მსჯელობდნენ საწარმოო საკითხებზე, არ იბრძოდნენ წუნის წინააღმდეგ. აღნიშნული საკითხი სახელოსნოს პარტიულმა ბიურომ თავის მსჯელობის საგნად გახადა და დასახა სათანადო ღონისძიებანი. შეიცვალა პარტიული ჯგუფის ორგანიზატორი. მალე პარტიული ჯგუფის მუშაობა გამოცოცხლდა. მან დარაზმა საამქროს კოლექტივი და უზრუნველყო მდგომარეობის გაუმჯობესება, ამჟამად საამქრო მაღალი ხარისხით და დიდი გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს.

კარგად მუშაობენ ვაგონშემკეთებელი სახელოსნოს, ამწყობი, სამჭედლო, სადურგლო და სხვა საამქროთა პარტიული ჯგუფებიც.

ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს პარტიული ორგანიზაცია მიღწეულით არ უნდა დაკმაყოფილდეს. უფრო უკეთესად უნდა მოაწყოს პარტიული ჯგუფებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება, დარაზმოს მთელი კოლექტივი ახალ საწარმოო წარმატებათა მოსაპოვებლად.

ალ. სილაგაძე

თბილისი. ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მოწინავე მრანდავი ხ. პაპანაშვილი, რომელიც ყოველდღიურ ნორმას 300 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ვ. გინზბურგისა

ნოვატორთა გამოცდილება—მასებს

სიმონ იაკიმენკოს ნოვატორული თაოსნობის პასუხად

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგიული ქარხანა „ზაპოროჟსტალის“ ნოვატორი მეფოლადის ს. იაკიმენკოს პატრიოტულ თაოსნობას ფოლადის ყოველი დნობის ჩქაროსნული მეთოდით განხორციელების დარგში ფართოდ დამოეხმაურნენ ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქის რუსთავის მეტალურგები.

მარტენის საამქროს № 1 ღუმელზე მომუშავე სტახანოველმა მეფოლადეებმა შალვა ჯუხალეიშვილმა, ვაჟა გიგიბერიამ და გორგი სიგუამ, ოსტატებმა ლ. ხარბედიამ, ტ. გველესიანმა და ნ. ეორონკოვმა გადაწყვიტეს ფოლადის თვითეული გამოდნობა განახორციელონ ჩქაროსნული მეთოდით და საათნახევრით შეამცირონ დნობის ხანგრძლივობა. მათ იკისრეს 142-დან 180 დნობამდე აიყვანონ ღუმელების გამძლეობა, 15 პროცენტით შეამცირონ ღუმელების გაცდენა, 118-დან 120 ტონამდე გაადიდონ თვითეული დნობის საშუალო წონა და ყოველი ღუმელიდან წელს 15.000 ტონით მეტი ფოლადი გამოადნონ შარშანდელ საშუალო წლიურ წარმადობასთან შედარებით.

ფეიქრები ახალ რეზერვებს ავლენენ

კუპავინელი ნოვატორების მ. როენევასა და ლ. კონონენკოს პატრიოტულ თაოსნობას ფართოდ ხერგავენ თბილისის მაუდ-კაბეთის ფაბრიკაში, ახალ რეზერვებს აღმოაჩენენ 1952 წლის საწარმოო გეგმის ყველა მაჩვენებლით შესრულებისათვის.

სართავი საამქროს ბრიგადირის კ. ანდღულაძის წინადადებით სართავი მანქანების მოძველებული თითისტრები, ოთლილნი ეუზესიერად მუშაობენ და ნართის ხშირ წყვეტას იწვევენ, ხოლო ამის შედეგად ხედმეტი ხედლეული იხარჯება და მანქანათა ნაყოფიერებაც მცირდება, ახლით უნდა შეიცვალოს. სართავ საამქროში ზოგჯერ მასრების ნაკლებობას განიცდიან, რაც მუშობაში შეფერხებას იწვევს. მომარაგების განყოფილება საამქროს მასრებით სისტემატურად ვერ ამარაგებს.

მექანიკური საამქროს სარემონტო ბრიგადის ხელმძღვანელის რ. ჩეკურაშვილის განცხადებით, სხვადასხვა ქარხნებიდან ზოგჯერ ფორებიანი სხმული მოსდით, ხოლო მისგან დამზადებული დეტალი სწრაფად ტყდება. ამის გამო მანქანების რემონტი დაბალხარისხოვანი გამოდის.

სამღებრო-საგაპრეტურო საამქროს ოსტატის თანაშემწე დ. კაჭარავა საქმაბე განყოფილებას უსაყვედურებს, რომ ეს უკანასკნელი ხშირად არღვევს სამღებრო-საგაპრეტურო საამქროსათვის ორთქლის მიწოდების რეჟიმს. ეს კი იწვევს ქსოვილის არათანაბარ ღებვას.

ფაბრიკაში პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე მუდის საამქროს უფროსმა დ. ხვედელიძემ განაცხადა: — კუპავინელი ნოვატორების მ. როენევასა და ლ. კონონენკოს ახალ პატრიოტულ თაოსნობას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ეს თაოსნობა ხელს უწყობს თვითეულ სტახანოველს, ინჟინერ-ტექნიკოსსა და მოსამსახურეს გამოავლინოს ახალი საწარმოო რეზერვები, რომ ჩამორჩენილი ბრიგადები, უბნები და საამქროები გაუთანასწორდნენ მოწინავეებს.

მოწინავეთა მიმდევრები

ფოთი. (საკ. კორ.). გემშემკეთებელ სახელოსნოში მრავალი მუშა შეუდგა მუშაობას ლიუბლინოელი ნოვატორების ა. ჟანდარავასა და ო. აგაფონოვას მაგალითისამებრ.

ხარატმა ნ. ჩაჩავამ საგრძნობლად გაუმჯობესა საკბილანე ზოდის გამოჭრის ხარისხი, ამავე დროს იგი ერთ ზოდს 3 დღის ნაცვლად 2-2,5 დღეში ამზადებს. ასევე სტახანოვურად მუშაობს მდარავი ი. უსტენკო, რომელიც მხოლოდ პირველხარისხოვან კბილანებს ამზადებს. თვითეული კბილანის დამზადებისათვის საჭირო დრო მან 4 საათით შეამცირა.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო

ამა წლის 25 იანვარს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ა. გრომიკომ მიიღო იტალიის დროებითი საქმეთა რწმუნებული ბ-ნი ფიგაროლო დი გროპელო და გადასცა საბჭოთა მთავრობის ნოტა პასუხად იტალიის მთავრობის ნოტისა, იტალიასთან საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის საკითხზე, რომელიც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა იტალიის ელჩმა სსრ კავშირში ბ-ნმა ბროზიომ 1951 წლის 8 დეკემბერს.

ქვემოთ ქვეყნდება იტალიის მთავრობის ნოტის ტექსტი და საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტის ტექსტი.

იტალიის მთავრობის ნოტა,

რომელიც 1951 წლის 8 დეკემბერს გადასცა ელჩმა ბროზიომ

„პატივი მაქვს დავიმოწმო იტალიის მთავრობის არაერთგზისი განცხადება და ის დეკლარაცია, რომელიც 26 სექტემბერს გაკეთეს შეერთებული სამეფოს, საფრანგეთისა და შეერთებული შტატების მთავრობებმა, აგრეთვე სხვა მთავრობების წარმომადგენელთა განცხადებანი იმის შესახებ, რომ იტალიასთან დადებული საზავო ხელშეკრულების არსებობა აღარ შეესაბამება იმ მდგომარეობას, რომელიც ამჟამად იტალიას უკავია.

იტალიის როგორც დემოკრატიული და თავისუფლებისმოყვარე ერების ოჯახის აქტიური და თანასწორუფლებიანი წევრის მდგომარეობა აღიარებულ იქნა ყველას მიერ. საზავო ხელშეკრულების შინაარსი კი აღარ შეეფერება ამჟამად არსებულ ვითარებას.

საზავო ხელშეკრულება ითვალისწინებდა, რომ იტალია მიღებული უნდა ყოფილიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად. ძირითადი ვარაუდი ის იყო, რომ გაერთიანებული ერების წესდების პრინციპებთან საყოველთაო თანხმობა უზრუნველყოფს დემოკრატიული ერების მთელი თანასაზოგადოების უშიშროებას და, მაშასადამე, იტალიისთვისაც უზრუნველყოფს ამ საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრის მდგომარეობას.

ეს ვარაუდი, რომელზე დაყრდნობითაც შედგენილ და რატიფიცირებულ იქნა საზავო ხელშეკრულება, არ განხორციელდა. თუმცა ხელშეკრულების პრეამბულაში გათვალისწინებული იყო, რომ იტალია გამხდარიყო გაერთიანებული ერების სრულუფლებიანი წევრი, იტალიის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მიუხედავად მისთვის სამჯერ გაწეული მხარდაჭერისა იმ წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობის მხრივ, რომლებიც ხმას აძლევენ გენერალურ ასამბლეაში, ითხოვერ შეუშალა ხელი გაუმართლებელმა ვეტომ, როცა ეს საკითხი უშიშროების საბჭოში ირჩეოდა.

რამდენადაც იტალია არ შედის გაერთიანებული ერების რიცხვში, მას არა აქვს შესაძლებლობა არც მთლიანად შეუწყოს ხელი საერთაშორისო ურთიერთობის მშვიდობიან განვითარებას სხვა ერებთან თანასწორობის საფუძველზე, არც იმოქმედოს ეფექტიანად თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რათა ხელშეკრულების პირობები გადასინჯულ იქნას ისეთი გზით, როგორც ეს ხელშეკრულებაშია გათვალისწინებული.

იტალიამ კი აღიდგინა დემოკრატიული წესრიგი, სხვა ერებთან ერთად შედის ბევრ საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობა მიმართულია მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობიანი და ნაყოფიერი ცხოვრების პირობების შექმნისაკენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელით და მინდობილობით მართავს სამეურვეო ტერიტორიას და მხარს უჭერს გაერთიანებული ერების ღონისძიებებს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნების მიზნით.

ამ პირობებში, როგორც უკვე აღნიშნული იყო, საზავო ხელშეკრულების შინაარსი და ზოგიერთი შემზღუდველი დადგენილება არ შეესაბამება არსებულ მდგომარეობას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩემი მთავრობის მითითებით, პატივი მაქვს მოგიწოდოთ, რომ სსრ კავშირის მთავრობამ და ხელშეკრულების ხელმომწერმა სხვა მთავრობებმა, რომელთაც იდენტური ნოტები გაუგზავნათ, აღიარონ, რომ ხელშეკრულების პრეამბულის შინაარსმა დრო მოჭამა და რომ იგი შეიცვალა გაერთიანებული ერების წესდების შინაარსით, რომ პოლიტიკური დადგენილებანი, 15-18 მუხლები, ზედმეტია და რომ სამხედრო დადგენილებანი, 46-70 მუხლები და მათი დანართები, რომლებიც ზღუდავენ საკუთარი თავდაცვის უფლებასა და ლონისძიებათა მიღების უნარს, აღარ შეეფერებიან იტალიის, როგორც თანასწორუფლებიანი წევრის, მდგომარეობას დემოკრატიული და თავისუფლებისმოყვარე ერების ოჯახში“.

საბჭოთა მთავრობის ნოტა,

რომელიც 1952 წლის 25 იანვარს გადასცა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ა. გრომიკომ

„პასუხად ბ-ნ ელჩ ბროზიოს 1951 წლის 8 დეკემბრის ნოტისა, რომელშიც მოყვანილია იტალიის მთავრობის წინადადება იტალიასთან საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ, პატივი მაქვს, საბჭოთა მთავრობის დავალებით, განვაცხადო შემდეგი.

იტალიის მთავრობა, აყენებს რა საზავო ხელშეკრულების პრეამბულის, მისი პოლიტიკური და სამხედრო დადგენილებების გადასინჯვის საკითხს, იმოწმებს იმას, რომ ეს დადგენილებანი არ შეეფერებიან იტალიის, „როგორც დემოკრატიული და თავისუფლებისმოყვარე ერების ოჯახში თანასწორუფლებიანი წევრის“, მდგომარეობას. ასეთი განმარტება მხოლოდ მიჩქმალვაა საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის ნამდვილი მიზნებისა. ნამდვილად კი, როგორც ფაქტები ცხადყოფენ, საქმე ეხება არა იტალიის თანასწორუფლებიანობას, არამედ იმას, რომ საზავო ხელშეკრულების გადასინჯვა გამოყენებულ იქნას აგრესიულ ატლანტიკის ბლოკში და იმ სამხედრო ლონისძიებებში იტალიის უფრო აქტიური მონაწილეობისათვის, რომლებსაც ეს ბლოკი ანრარიელებს ახალი მსოფლიო რომის მომზადების მიზნით. წინადადება საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ ამ შემთხვევაში სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა მისწრაფებას გაიხსნას ხელ-ფეხი, რათა იტალიის ტერიტორია, მისი ადამიანთა და მატერიალური რესურსები შეუფუფოს ატლანტიკის ბლოკის აგრესიულ მიზნებს, რაც საბჭოთა მთავრობამ უკვე აღნიშნა თავის 11 ოქტომბრის ნოტებში ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი იტალიასთან საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ მათის დეკლარაციასთან დაკავშირებით. იმას, რომ სწორედ ამ მიზანს ისახავენ ხსენებული სამი სახელმწიფოს მთავრობები, აგრეთვე იტალიის მთავრობა, მოწმობენ თვით იტალიის მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელთა განცხადებანი. მაგალითად, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ 1951 წლის 14 აპრილს გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ საზავო ხელშეკრულების ბევრი პირობა ნამდვილად უკვე გადასინჯულია და რომ „ახლა საჭიროა, ბოლოს, საქვეყნოდ იქნას განცხადებული, რომ იტალიისა და მისი მოკავშირეების — დასავლეთის სამი სახელმწიფოს — ურთიერთობა ამერიკიდან წესრიგდება მხოლოდ ატლანტიკის პაქტის პრინციპებით“.

საბჭოთა მთავრობამ თავის 1949 წლის 19 ივლისისა და 20 სექტემბრის ნოტებით უკვე მიაქცია იტალიის მთავრობის ყურადღება იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მას ეკისრება ატლანტიკის ბლოკისადმი იტალიის მიმხრობასთან დაკავშირებით. საბჭოთა მთავრობა ამ ნოტებში აღნიშნავდა, რომ იტალიის მიმხრობა ატლანტიკის ბლოკისადმი რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, წარმოადგენს უხეშ დარღვევას საზავო ხელშეკრულებისას, რომელიც როგორც ნათქვამია მის პრეამბულაში, იტალიისა და ამ ხელშეკრულების ხელმომწერი სახელმწიფოების შეგობრული ურთიერთობის საფუძველი უნდა გახდეს.

იტალიის მთავრობამ მას შემდეგ უფრო მეტად დაარღვია თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებანი. ატლანტიკის ბლოკის აგრესიული გეგმების შესაბამისად იტალიის მთავრობამ იტალიის ტერიტორია დათმო ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზების შესაქმნელად და ატლანტიკის ბლოკის შეიარაღებული ძალების სამხედრო შტაბების მოსათავსებლად. წინაადმდეგ საზავო ხელშეკრულების დადგენილებებისა, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ იტალიის შეიარაღებული ძალების ორგანიზაცია და შეიარაღება, აგრეთვე მათი დისლოკაცია მთელ იტალიაში ისე განხორციელდება, რომ შეეფერებოდეს მხოლოდ საშინაო ხასიათის, იტალიის საზღვრების ადგილობრივი დაცვისა და საჰაერო თავდაცვის ამოცანებს, იტალიის მთავრობა იტალიის დივიზიებს იძლევა ამერიკელი გენერლის ეიზენჰაუერის, ატლანტიკის ბლოკის ჯარების მთავარსარდლის განკარგულებაში. ამერიკელი გენერლების ხელმძღვანელობით იტალიაში ხორციელდება სამხედრო მზადება ფაშისტთა პროგრამა, რომელსაც თავდაცვის ამოცანებთან საერთო არა აქვს რა, მაგრამ რომელიც სულ უფრო ითრევს იტალიას იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგრესიულ ბლოკში, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები მეთაურობენ.

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ საზავო ხელშეკრულების გადასინჯვა იმ პირობებში, როცა იტალია ჯერ-ჯერობით ატლანტიკის ბლოკის მონაწილეა, როცა იტალიის ტერიტორიას უთმობენ ამერიკის სამხედრო ბაზების მოსაწყობად, ხოლო იტალიის შეიარაღებულ ძალებსა და მატერიალურ რესურსებს იძლევიან ამერიკელი გენერლების განკარგულებაში, იმას ნიშნავს, რომ იტალია უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული ატლანტიკის ბლოკის აგრესიული მიზნებით; იტალია გადაქცეულ იქნას ევროპაში ამერიკის აგრესიის პლაცდარმად. საზავო ხელშეკრულების ასეთ გადასინჯვას საერთო არა აქვს რა არც ევროპაში მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებთან და არც იტალიის თანასწორუფლებიანობისა და დამოუკიდებლობის ინტერესებთან.

იტალიის მთავრობა თავის ნოტაში აცხადებს, რომ იტალია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღებული არ არის თითქოს იმიტომ, რომ ამას ხელი შეუშალა ეგრეთწოდებული „ვეტოს“ გამოყენებამ. ასეთი განცხადება სინამდვილეს არ შეეფერება.

საბჭოთა კავშირი, როგორც ცნობილია, არასოდეს არ ყოფილა და არ არის იმის წინააღმდეგი, რომ იტალია მიღებულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად ამ სხვა სახელმწიფოებთან თანასწორ საფუძვლებზე, რომლებსაც ამის კანონიერი უფლება აქვთ. იტალია დღემდე არ არის მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების მიზეზით, რომელთა პოზიცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იტალიის მიღების საკითხში ეწინააღმდეგება სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობის პრინციპებს, რამდენადაც სამი ხსენებული სახელმწიფოს მთავრობები აბრკოლებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ სხვა სახელმწიფოების მიღებას, რომლებიც ომის დროს ისეთსავე მდგომარეობაში იყვნენ, როგორც იტალია.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია იტალიის მთავრობის ყურადღება მიაქციოს იმას, რომ იტალიის მონაწილეობა ატლანტიკის ბლოკში და იმ სამხედრო ღონისძიებებში, რომლებსაც ეს ბლოკი ახორციელებს ევროპაში, სრულიადაც არ შეეფერება მოთხოვნებს, რომლებსაც უყენებენ სახელმწიფოს, რომელსაც სურს შევიდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ იტალია მონაწილეობას იღებდა ომში ჰიტლერული გერმანიის მხარეზე. ატლანტიკის ბლოკში იტალიის შესვლა ქმნის სერიოზულ დამატებით სიძნელეებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იტალიის მიღების საკითხის გადაჭრაში.

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ იგი ემხრობა იტალიასთან საზავო ხელშეკრულების გადასინჯვას ისე, რომ ეს გადასინჯვა შეეფერებოდეს მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს და ხელს უწყობდეს იტალიის ნამდვილი თანასწორუფლებიანობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. საბჭოთა მთავრობა, რომელიც ხელმძღვანელობს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესებით, აგრეთვე სურვილით — იხილოს იტალია თანასწორუფლებიან სახელმწიფოდ, აცხადებს, რომ მზად არის დაეთანხმოს იტალიასთან საზავო ხელშეკრულების გადასინჯვას და სათანადო შეზღუდვათა მოსპობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იტალია გამოვა აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკიდან და თავის ტერიტორიაზე არ დაუშვებს ოცხო სახელმწიფოთა სამხედრო ბაზებსა და შეიარაღებულ ძალებს“.

ბ-ნმა ფიგაროლო დი გროპელომ გაბაცხადა, რომ ნოტას გადასცემს თავის მთავრობას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომის პლენუმი

ქუთაისი. (საკ. კორ.). შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომის მორიგი პლენუმი. რაიკომის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ პლენუმზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანმა ამხ. ლ. გაბრიაძემ.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს მტს-ის დირექტორმა ე. ნემსიწვერიძემ, სოფელ გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლის“ თავმჯდომარემ ი. ფესტვენიძემ, პარტიის რაიკომის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების გამგემ ვ. კვირიკაშვილმა და სხვებმა.

პლენუმმა ამხ. ლ. გაბრიაძე სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო გაათავისუფლა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან.

რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ს. რუხაძე, მეორე მდივნად — ა. ფურცხვანიძე, მდივნად — მ. თუთბერიძე.

ბომბეიში გაიხსნა საერთაშორისო ფესტივალი

ბომბეი, 25 იანვარი. (საკადესი). 24 იანვარს საღამოს კინოთეატრ „ნიუ ემპაირში“ გაიხსნა საერთაშორისო კინოფესტივალი. ფესტივალში მონაწილეობას იღებს 23 ქვეყანა.

ფესტივალის გახსნას დაესწრნენ ფესტივალის მონაწილე ქვეყნების კინოორგანიზაციათა დელეგაციები, ინდოეთის მთავრობის წევრები და დიპლომატიური წარმომადგენლები. ფესტივალის სპატარო სტუმრებს შორის არის საბჭოთა კინემატოგრაფიის მოღვაწეთა დელეგაცია კინემატოგრაფიის მინისტრის მოადგილის სემენოვის მეთაურობით.

ფესტივალის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვა-თ მიმართა ინდოეთის ინფორმაციისა და რადიომაუწყებლობის მინისტრმა დიფაკარმა. შემდეგ წაკითხულ იქნა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ნერუს დეპეშა.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილე ქვეყნების დელეგაციათა მეთაურებმა.

საქართველოს პროფსაბჭოში

კონგრესის გაძლიერების შესახებ სავაჭროებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობისადმი

სავაჭროებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობისადმი საზოგადოებრივი კონტროლის განსახორციელებლად პროფორგანიზაციების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესების მიზნით საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირთა რესპუბლიკურ, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს დაავალა უზრუნველყონ ყოველდღიური კონტროლი სავაჭროებისა და კვების საწარმოებისადმი, გადამჭრელი ბრძოლა აწარმოონ მაღაზიებისა და სასადილოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა, ვაჭრობის წესების დარღვევისა და ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრისათვის, საბჭოთა მომხმარებლის მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის.

ამ მიზნით პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს რჩევა მიეცათ: იანვარ-თებერვალში მოიწვიონ რესპუბლიკური კომიტეტების პლენუმები, რომლებზეც დასახონ ღონისძიებანი ვაჭრობისა და კვების საწარმოების მუშაობისადმი საზოგადოებრივი კონტროლის გასაძლიერებლად.

უნდა მოეწყოს იმ საზოგადოებრივი კონტროლიორების ანგარიშგება-არჩევნები, რომლებსაც რწმუნების ვადა გასულიათ, ხოლო იმ საწარმოებში, სადაც ისინი არჩეული არ იყვნენ, უნდა მოხდეს მათი არჩევნები.

პროფსაბჭოს სამინაო-საყოფაცხოვრებო განყოფილებას დაევალა პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად თებერვლის ბოლომდე დაამთავროს ყველა მაღაზიის, სასადილოს, ბაზისა და საწყობის მიმაგრება საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებზე; ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა შორის ფართოდ გაანალოს სოციალისტური შეჯიბრება მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს წინაშე დაისვა საკითხი — უზრუნველყოს სამინისტროს, აგრეთვე სათანადო სავაჭრო საწარმოების მუშაკთა მონაწილეობა პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების პლენუმების მუშაობაში; მითითება მისცეს ავტონომიური რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროებს, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, სოჩლქო, საქალაქო და რაიონულ სავაჭრო განყოფილებებს და სავაჭრო ორგანიზაციებს პროფორგანიზაციებთან ერთად განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი სავაჭრო ქსელის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებზე მიმაგრებისა და სავაჭრო ქსელისადმი საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერებისათვის.

შახტმშენებლების აგურის ქარხანა

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულელმა შახტმშენებლებმა ააშენეს და უკვე აამუშავეს აგურის ახალი მექანიზებული ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად 7,5 მილიონ ცალ აგურს გამოუშვებს.

ქარხანამ უკვე გამოუშვა პირველი პროდუქცია — 32 ათასი ცალი მაღალხარისხოვანი გამომწვარი აგური.

მომზადებული შევხვდეთ საგაზაფხულო თესვას

თებერვლის პირველი რიცხვებიდან თბილისის გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებში უნდა დაიწყოს ქერისა და მზესუმზირას თესვა. ახლოვდება სხვა კულტურების თესვის დაწყების დროც. წელს რაიონის კოლმეურნეობებმა შარშანდელზე ბევრად მეტი სამუშაოები უნდა შეასრულონ, ამიტომ უკეთესად უნდა მოემზადონ თესვისათვის. მაგრამ ამას ყველგან როდი ითვალისწინებენ.

მაღალხარისხოვანი თესლის დათესვა უხვი მოსავლის მიღების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. რაიონში კი კონდიციური ქერის თესლი საჭირო რაოდენობით არა აქვთ. 40 ცენტნერი ერთწლიანი ბალახის თესლის ნაცვლად აქვთ მხოლოდ 3 ცენტნერი, აკლიათ კარტოფილის, ლობიოს და სხვადასხვა ბოსტნეულის თესლიც.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში თესლის გაწმენდას, დახარისხებას და სათეს კონდიციამდე აყვანას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. მაგალითად, სოფელ დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში წელს საგაზაფხულოდ 60 ჰექტარი ქერი უნდა დათესონ, ფაქტიურად კოლმეურნეობაში ამ კულტურის თესლი საკმაო რაოდენობით არა აქვთ. აკლიათ აგრეთვე ღომის, საკვები ჭარხლის, კომბოსტოს, სუფრის ჭარხლისა და ერთწლიანი ბალახის თესლი. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც სოფელ გლდანის, ნორიოსა და ბევრეთის კოლმეურნეობებშია.

ბევრ კოლმეურნეობაში დაიგეგმა მოსავლიანობის გადიდების ისეთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება, როგორიც არის სასუქების შეტანა. ამის შედეგად რაიონში სამარცხვინო ჩამორჩენაა. წელს 1 იანვრამდე ნიადაგში 87.500 ურემი ნაკელი უნდა შეეტანათ, ფაქტიურად შეტანილია მხოლოდ 50.252 ურემი. ნაკელის გატანის მხრივ სერიოზული ჩამორჩენაა ავჭალის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ნ. ბაიდაური). აქ დავალება მხოლოდ სანახევროდ შეასრულეს. ამ საქმეშოაებში ჩამორჩნენ ოგრეთვე წყნეთის მახარაძის, ნახშირგორის ძალენკოვის, მარტყოფის ლენინის, გლდანის ბერიას სახელობისა და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები. უფრო მეტიც. რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მუშაკებმა ისიც კი არ იციან, თუ 1 იანვრიდან დღემდე რომელ კოლმეურნეობას რამდენი ნაკელი აქვს გატანილი მინდვრად.

საგაზაფხულო ხვნა-თესვის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მაღალნაყოფიერ მუშაობაზე. ამ მხრივ როგორც თელეთის, ისე დიღმისა და მარტყოფის მტს-ების კოლექტივები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ. ნაკისრი ვალდებულების გასანაღდებლად მარტყოფის მტს-ის კოლექტივმა შრომის სწორი ორგანიზაციით უკვე შეასრულა ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმა, საკმაო რაოდენობით მოიმარაგა საწვავი, სრულ წესრიგზეა სათესი მანქანები. ჰყავთ სათანადო კადრებიც. ამ დღეებში სამუშაოდ 51 ტრაქტორს გაიყვანენ. ყოველწლიურად ნაყოფიერად მუშაობს მეოთხე სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ი. მამუკელაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ შარშან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმა ვადაზე ადრე დიდი გადაჭარბებით გაანაღდა და 390 კილოგრამი საწვავი დაზოგა. ასევე მოწინავეა პირველი სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი ნ. ლოლაძე).

მარტყოფელი მექანიზატორები პირობას იძლევიან, რომ წელს ვადაზე ადრე მაღალხარისხოვნად შეასრულებენ საგაზაფხულო სამუშაოებს და დიდი რაოდენობით დაზოგავენ საწვავს. გარდა ამისა, ჰექტარი ფართობის დამუშავების თვითღირებულებას შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად შეამცირებენ.

შ. ბოკაჩუა
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

ლაგოდეხელმა მექანიზაციორებმა მოსავლიანობა გაადიდეს

ლაგოდეხის მტს-მა (დირექტორი პ. ქემოკლიძე) წარმატებით დაამთავრა 1951 სამეურნეო წელი. მის მომსახურების კოლმეურნეობებში შეასრულა 48.600 ჰექტარი სატრაქტორო სამუშაო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 41.052 ჰექტარისა. წლის განმავლობაში მტს-მა 17 ტონა საწვავი მასალა დაზოგა.

მექანიზაციის ფართოდ დანერგვამ უზრუნველყო ხორბლის მოსავლიანობის გადიდება. მტს-ის მომსახურებას კოლმეურნეობებში საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 17,17 ცენტნერს მიაღწია. შემოდგომაზე მაღალხარისხოვნად ჩაატარეს თესვა 8.000 ჰექტარზე და ახლა მექანიზატორები ენერგიულად შრომობენ იმისათვის, რომ წელს საშუალო მოსავლიანობა შარშანდელთან შედარებით 3 ცენტნერით გაადიდონ.

მტს-ში ფართოდ დანერგეს ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების კვანძური მეთოდით რემონტი. ამის შედეგად ტრაქტორები სწრაფად გამოდის შეკეთებიდან და ხარისხიც კარგია. მეოთხე კვარტალში 28 ტრაქტორის ნაცვლად შეაკეთეს 29. ამ საქმეში თავი ისახელა ძრავის რემონტის კვანძმა, რომელსაც მექანიკოსი ვ. მანაგაძე ხელმძღვანელობს. ასევე მაღალნაყოფიერად მუშაობენ სარქველების შემკეთებელი, სახარატო, საამწყობო და სხვა კვანძები.

პირველ კვარტალში უნდა შეკეთდეს 20 ტრაქტორი, 5 კომბაინი, სათესები, გუთნები და სხვ. შეკეთებულია 5 ტრაქტორი, 3 კომბაინი, გუთნებს შეკეთების დავალება მთლიანად განადღებულია. რემონტის დაჩქარებას ხელს უშლის ზოგიერთი ნაწილის (ჭიღლები, დგუშები, გვერდითი კბილანების საკისარები, დისკების დასაკრავები და სხვ.) უქონლობა. ეს ნაწილები რომ ყოფილიყო, დღემდე შეეძლოთ გამოეშვათ კიდევ 7 ტრაქტორი. (სპეც. კორ.).

ჩვენ გვწერენ

ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების საადგური მოუნყობელია

მახარაძის რაიონში სამრეწველო კომბინატთან არსებული საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების საადგური დანიშნულებას ვერ ამართლებს.

სახელოსნოს შენობა სანახევროდ დაუხურავია. წვიმა აზიანებს კედლებს, შენობის ხის მასალა ლპება. ელექტროძრავებს და სხვა დანადგარებს აწვიმს, საამქროებს კარ-ფანჯრები არა აქვს, სარემონტო ორმოები კეთილმოუწყობელია. მოუგავრებელია გათბობა და განათება. ეს მაშინ, როცა სამრეწველო კომბინატს დიდი რაოდენობით აქვს საკუთარი საშენი მასალა.

საადგურს არა აქვს უბრალო დანადგარები და ინსტრუმენტები, ამის გამო შეუძლებელია ადგილობრივ თუნდაც ისეთი მარტივი დეტალების დამზადება, როგორიც არის ჭანჭიკები, ქანჩები და რომელთა უქონლობა ხშირად ავტოტრანსპორტის მუშაობის შეფერხებას იწვევს. გარდა ამისა, საადგურში არ არის სოლიდოლი, ნიგროლი, კარტერის ზეთი და მათი გამოსაყენებელი ხელსაწყოები.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ და მახარაძის სამრეწველო კომბინატმა სათანადო დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გაგიწიონ.

შ. ლომთათიძე
ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების საადგურის უფროსი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„რაიკომი სათანადოდ ვერ ეხმარება პარგზიული ორგანიზაციის მდივნებს“

„კომუნისტის“ 1951 წლის 19 დეკემბრის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნდა წერილი, რომელიც შეეხებოდა ადგილის რაიონის სოფელ არაღისა და სოფელ დიდი სმადის კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების სუსტ მუშაობას და მათდამი პარტიის რაიკომის არადამაკმაყოფილებელ დახმარებას.

როგორც საქართველოს ჯ. პ. (ბ) ადიგენის რაიკომის მდივანი ამხ. ნამიჩეიშვილი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა, რაიკომის ბიურომ განიხილა აღნიშნული საკითხი და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

„კომბინაციორი სასვიკად უნდა დაისაჯოს“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 12 იანვრის ნომერში დაიბეჭდა მამხილებელი წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ აჭიანურებენ თელავის რაიონის ყარაჯალის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარის ზირა უსუფოვის პასუხისგებაში მიცემას დანაშაულებრივი მოქმედებისათვის.

თელავის რაიონის პროკურორი ამხ. თ. ჯაჯანაშვილი გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა. ზირა უსუფოვი მიცემულია პასუხისგებაში.

ფულის რეფორმა და ფასების შემცირება რუმინეთში

ბუქარესტი, 27 იანვარი. (საკ.ინფ.). დღეს სოფიოს გამოქვეყნდა რუმინეთის მინისტრთა საბჭოს და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ფულის რეფორმისა და ფასების შემცირების განხორციელების შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ფულის ახალი რეფორმა ხორციელდება ლეის მყიდველობითი უნარის ამაღლების, მისი საგარეო კურსის ამაღლების, მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის ზრდიდებისა და შრომელთა მომარაგების გაუმჯობესების მიზნით.

1947 წლის ფულის რეფორმის შემდეგ გასულ პერიოდში, ნათქვამია დადგენილებაში, რუმინეთში მოხდა ძირეული ცვლილებანი: მთავრობიდან განდევნილი არიან ბურჟუაზიის წარმომადგენლები და ლიკვიდირებულია მონარქია. მთელი პოლიტიკური ძალაუფლება გადავიდა მუშათა კლასისა და მისი მოკავშირე შრომელი გლეხობის ხელში, ძირითადი სამრეწველო საწარმოები, ტრანსპორტი და ბანკები ნაციონალიზებულია და სახელმწიფო სოციალისტური სექტორება გახდა. რუმინეთის 1949 და 1950 წლების პირველი სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმები, აგრეთვე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით.

წინა წლის წარმოების დონე მრეწველობაში 23 პროცენტით ამაღლდა, მნიშვნელოვნად გადიდდა მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. სამი წლის განმავლობაში აღდგენილ იქნა ბევრი ძველი საწარმო და აშენდა ახალი საწარმოები. 1951 წელს კაპიტალდაბანდებათა მოცულობა 1949 წელთან შედარებით ერთიორად გაიზარდა. განუწყვეტლივ მატულობს შრომის ნაყოფიერება. წლითიწლობით მცირდება სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება. უმუშევრობა, რომელსაც ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების დროს რუმინეთის მშრომელთათვის სიშინელი სიღატაკე, მძიმე ტანჯვა და ზვალინდელი დღისადმი რწმენის უქონლობა მოჰქონდა, სამოდამდე ლიკვიდირებულია.

შემდეგ დადგენილებაში ნათქვამია, რომ წარმატებებთან ერთად 1947-1951 წლების პერიოდში იყო ზოგიერთი მოცდენა, რომელმაც შეაფერხა რუმინეთის ეკონომიური განვითარება. სპეკულანტები და სხვა კაპიტალისტური ელემენტები ქალაქად და სოფლად, ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტის სხვადასხვა აგენტები აბოტაჟელებდნენ ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავდა ლეისათვის ძირის გამოთხრას და ქალაქსა და სოფლის შორის საქონელბრუნვის დეზორგანიზაციას. ამრიგად, ნათქვამია შემდეგ დადგენილებაში, მომწიფდა საჭიროება ფულის რეფორმისა, რომელიც განამტკიცებს ლეის კურსს და გაადიდებს მის უზრუნველყოფას ოქროთი; დაიწესებს ლეის კურსს საბჭოთა მანეთის საფუძველზე, რაც ნიშნავს ფულის კურსის დაწესებას მსოფლიოში ყველაზე მტკიცე ვალუტის—სსრ კავშირის, იმ ქვეყნის ვალუტის ბაზაზე, რომელთანაც ჩვენ ყველაზე მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა გვაქვს და რომლისგანაც ყველაზე მეტ დახმარებას ვიღებთ, და არა დოლარის ბაზაზე, როგორც ეს წინათ იყო, რომელიც მერყევი ვალუტია, რომლის მყიდველობითი უნარი სისტემატურად ეცემა. დადგენილებაში ნათქვამია, რომ 1952 წლის 28 იანვრიდან მიმოქცევაში იქნება რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის ახალი ბილეთები.

ფულის გამოცვლა მთელ რუმინეთში თწარმოებს ოთხი დღის განმავლობაში—1952 წლის 28 იანვრიდან 31 იანვრამდე.

მანეთის მიმართ ლეის კურსი 1952 წლის 28 იანვრიდან წესდება მანეთში 3 ლეი და 60 ბანი.

დადგენილია ფულის ნიშნების გადაცვლის სათანადო წესი.

წესდება აგრეთვე შემნახველი სალაროების ანგარითა გადაფასება.

შემდეგ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა წარმოების ზრდამ, შრომის ნაყოფიერების სისტემატურმა გადიდებამ და ბრიგადულ-ინდივიდუალურმა შემცირებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ფართო მოხმარების საქონლის საცალო ფასების შემცირებისათვის.

წესდება საქონლის კომერციული ფასების შემცირება: ბურისა და ბურის ფქვილის ნაწარმისა—5-10 პროცენტით, მაკარონის ნაწარმის და ბურღულისა—17,5-20 პროცენტით, ხორცის, ხორცის ნაწარმის და კონსერვებისა—5-20 პროცენტით, შაქრის, საკონდიტრო ნაწარმის და სანაკლელი საქონლისა—5-10 პროცენტით და სხვ.

სახელმწიფო და კოოპერაციულ ქსელში გასაყიდი საქონლის საცალო ფასების შემცირების შედეგად მოსახლეობა მოიგებს 10 მილიარდზე მეტ ლეის, ფასების ეს შემცირება, აღნიშნულია დადგენილებაში, განპირობებს აგრეთვე ფასების შემცირებას არაორგანიზებულ ბაზარზე და, ამრიგად, მოსახლეობის საერთო მოგება კიდევ უფრო მეტ თანხას შეადგენს.

მას შემდეგ, რაც რადიოთი გადაცემულ იქნა დადგენილების ტექსტი, ქალაქ ბუქარესტის, ქალაქ სტალინის, ხუნედოარისა და სხვა ქალაქების სახარაბიაში, სადაც დღეს სამშაბათ დღე იყო, სოფლებში, მტს-ებში, რკინიგზის სადგურებში გაიმართა მიტინგები. თავის რეზოლუციებსა და გამოსვლებში მშრომელები უდიდეს მადლობას უძღვნიან თავიანთ მუშათა პარტიას, თავის მთავრობას.

დამთავრდა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის სესია

კოპენჰაგენი, 25 იანვარი. (საკ.ინფ.). მუშაობა დაამთავრა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის სესიამ. სესიამ გადაწყვეტილებანი მიიღო შემდეგ საკითხებზე: „ახალგაზრდობის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონფერენციის შესახებ“, „მშვიდობის დაცვისათვის ინგლისისა და საფრანგეთის ახალგაზრდობის ორგანიზაციათა მუშაობის გამოცდილების შესახებ“ და „მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებანი და ახალგაზრდობის მონაწილეობა კულტურული ურთიერთობის მოწყობაში“.

სესიის დამთავრების შემდეგ გაიმართა ბრესკონფერენცია, რომელზეც სესიის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა უილიამსმა (ავსტრალია).

დასკვნაში, რომელიც დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სესიაზე მიმდინარეობდა, თქვა უილიამსმა, ცხადყო, რომ ახალგაზრდობა დაინტერესებულია ახალი ომის თავიდან აცილებით, შეიარაღების შემცირებით, სოციალურ და კულტურულ საჭიროებისათვის, ჯანმრთელობის დაცვისათვის ასიგნებათა გადიდებით, ახალგაზრდობა დაინტერესებულია ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით, დემოკრატიულ თავისუფლებათა და უფლებათა უზრუნველყოფით, ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებით. ახალგაზრდობა სულ უფრო მეტად გრძნობს, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა ახალგაზრდობის უფლებებისათვის, მისი გაერთიანებისათვის, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებისა, რელიგიური რწმენისა, სოციალური მდგომარეობის თუ რასისა.

ახალგაზრდობის უფლებათა დაცვის ნაერთაშორისო კონფერენცია გაიმართება 1952 წლის მეორე ნახევარში. მისი ლოზუნგი იქნება: „ახალგაზრდობავ, გაერთიანდი ახალგაზრდობის ეკონომიური და სოციალური მოთხოვნების განხორციელებისათვის, მშვიდობის დაცვისა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის“.

აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება კონფერენციის მოსამზადებელი საერთაშორისო კომიტეტის შექმნის შესახებ.

ამ კონფერენციის მომზადების ძირითადი ამოცანაა ახალგაზრდობის ერთიანობის და დემოკრატიულ ორგანიზაციათა თანამშრომლობის განმტკიცება ახალგაზრდობის უფლებათა დაცვისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში.

საერთაშორისო მიმოხილვა

ამერიკის შეერთებული შტატები აღადგენენ იაპონიის მილიტარიზმს

მას შემდეგ, რაც გასული წლის სექტემბერში სან-ფრანცისკოში ხელმოწერილ იქნა სეპარატიული საზავო ხელშეკრულება იაპონიასთან და ამერიკა-იაპონიის „უშიშროების პაქტი“, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიწყეს იაპონიის მილიტარიზმის აშკარა აღდგენა. გაძლიერდა ამერიკის იმპერიალიზმის სამხედრო ავანტიურებში იაპონიის ჩათრევის საფრთხე. ამას მოწმობენ იაპონიის მთავრობის უკანასკნელი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და სამხედრო მრეწველობის აღდგენა.

პირველ რიგში დიდდება პირადი შემადგენლობა ეგრეთწოდებული სარეზერვო პოლიციის კორპუსისა, რომელიც ერთ დროს იაპონიის უგვირგვინო მმართველმა მაკარტურმა შექმნა, როგორც ბირთვი იაპონიის არმიისა, რომლის აღორძინებაც ხდება. ამჟამად ამ კორპუსში უკვე არის 75 ათასზე მეტი კაცი; იგი დაყოფილია ოთხ დივიზიად, რომლებიც თავის მხრივ დანაწილებულია პოლკებად, ბატალიონებად და ასეულებად. კორპუსი, გარდა შაშხანებისა და ტყვიამფრქვევებისა, აღჭურვილია ნაღმსატყორცნებითა და არტილერიით. როგორც ამერიკის ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ ფორლდ რიპორტი“ იუწყება, მალე „პოლიციის“ ნაწილებს მიემატება ჯავშნიანი მანქანები და ტანკები. იგივე ჟურნალი, იმოწმებს რა „სამხედრო ამერიკელთა“ აზრს, ამტკიცებს, რომ 1952 წლის ივნისისათვის ეს ოთხი დივიზია ბრძოლისუნარიანი ქვეითი შენაერთები გახდება.

იანვრის დამდეგს იაპონიის პრესაში გამოქვეყნდა პირველი ცნობები იმის შესახებ, რომ იოსიდას მთავრობას განზრახული აქვს 1952 წლისათვის სარეზერვო კორპუსის რიცხობრივი შემადგენლობა 300 ათას კაცამდე და უფრო მეტად გაადიდოს. ამავე დროს პრესა იუწყება ეგრეთწოდებული საზღვაო დაცვის საშმართველოს პირადი შემადგენლობის 16 ათასიდან 21 ათას კაცამდე გადიდების გეგმებს იმ მიზნით, რომ დაკომპლექტებულ იქნას დაახლოებით 50 მცირე სამხედრო გემი, რომლებიც იაპონიის მთავრობამ „ეჯარით“ უნდა მიიღოს შეერთებული შტატებისაგან.

შეიარაღებული ძალების მომავალ გადიდებასთან დაკავშირებით იაპონიის მთავრობამ 1952 წლის ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინა სამხედრო საჭიროებისათვის მნიშვნელოვანი თანხის — 221 მილიარდი იენის გამოყოფა, რაც ბიუჯეტის მთელი თანხის 25 პროცენტს შეადგენს. მიუხედავად ამისა, გენერალ რიჯუეის შტაბმა მოითხოვა სამხედრო ხარჯების გადიდება 250 მილიარდ იენამდე. ამასთან დაკავშირებით ინგლისის გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი“ იუწყება, რომ მომავალ წელს იაპონიამ, ამერიკის შეერთებული შტატების გეგმებით, მნიშვნელოვნად უნდა გადიდოს სამხედრო საჭიროების ხარჯები, რაც შეადგენს იაპონიის ბიუჯეტის 37 პროცენტს.

სავსებით ნათელია, რომ სამხედრო ხარჯების ზრდამ გამოიწვია იაპონელ მშრომელთა საგადასახადო ტვირთის გადიდება. განსაკუთრებით საშიში ხდება იაპონიაში ცხოვრების დონის მკვეთრი დაქვეითება, რაც გამოიწვია სამხედრო რელსებზე იაპონიის მრეწველობის გადაყვანამ.

იოსიდას მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკას, რომელიც იაპონელ მშრომელთ აიძულებს შეასრულონ ამერიკელი მონოპოლისტების დაქირავებული მონების როლი და შექმნან სიმდიდრე სამხედრო ბიზნესის ამერიკელი და იაპონელი „მეფეებისათვის“, სულ მედგარ წინააღმდეგობას უწევენ იაპონელი ხალხის ფართო მასები. იაპონელი მშრომელები სულ უფრო ნათლად გრძნობენ, რომ მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების, მათი დემოკრატიული და ეროვნული უფლებების უზრუნველყოფის საკითხი უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული მშვიდობისათვის ბრძოლასთან, იმ ამერიკელი იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლასთან, რომლებიც იაპონიას ითრევენ მისთვის უცხო ინტერესებისათვის ომში.

მშვიდობის დაცვის იაპონიის კომიტეტის გარდა, რომელიც 1950 წელს შეიქმნა და რომელიც ენერგიულ მოქმედებას ეწევა მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ხალხის ფართო მასების ჩასაბმელად, იაპონიაში გასული წლის მანძილზე შეიქმნა მთელი რიგი ახალი ორგანიზაციები, რომლებმაც თავიანთ მთავარ ამოცანად გამოაცხადეს მშვიდობის დაცვა. ამ ორგანიზაციებში ყველაზე დიდია მშვიდობის ხელშემწყობი ეროვნული საბჭო, რომელშიც მონაწილეობენ სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციები, იაპონიის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოში შემავალი 25 ეროვნული პროფკავშირი, მთავრობის დაწესებულებათა მოსამსახურეების პროფკავშირის საბჭო, იაპონიის კოოპერაციული კავშირი და მთელი რიგი სხვა ორგანიზაციები.

იაპონიაში მატულობს და მტკიცდება მშვიდობის მომხრეთა რიცხვი. ექვსმილიონმა იაპონელმა მოაწერა ხელი მიმართვას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. პროფესორ იკეო ოიამასთვის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის მინიჭება მსოფლიო ბრძოლა იმ დამსახურებისა, რაც მშვიდობის ამ გამჩენელ დამცველს მიუძღვის არა მარტო იაპონელი ხალხის წინაშე, არამედ აგრეთვე მთელი პროგრესული კაცობრიობის წინაშე, რომელიც იბრძვის მშვიდობისათვის, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ.

იაპონიაში მშვიდობის მომხრეთა რიგების სწრაფი ზრდა იმას მოწმობს, რომ იაპონია მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის აღმავლობის ხანაში შევიდა.

ტუნისის ამბები

გასულ კვირაში ტუნისში სისხლისმღვრელი ამბები მოხდა, რამაც მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. ამ ამბებს წინ უძღოდა საფრანგეთისა და ტუნისის მთავრობებს შორის 18 თვის მოლაპარაკება ტუნისელი მოსახლეობის ეროვნული მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ. ტუნისელი ხალხი მოითხოვდა შექმნილიყო ნამდვილი წარმომადგენლობითი ორგანო და მთავრობა, რომელიც უნდა შემდგარიყო ტუნისელებისაგან და რომელსაც უნდა ჰქონოდა რეალური და არა ფიქტიური ხელისუფლება. საფრანგეთის მთავრობამ უარი თქვა დაეკმაყოფილებინა ეს კანონიერი მოთხოვნები, რამაც აიძულა ტუნისის მთელი რიგი მინისტრები, ხალხის მასების ზეგავლენით, მიმდინარე წლის იანვარში გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის ეთხოვათ ტუნისის ხალხების სუვერენულ უფლებათა საკითხის განხილვა.

15 იანვარს ტუნისში გაიმართა მოსახლეობის მასობრივი დემონსტრაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მიმართვის მხარდასაჭერად. პოლიციამ დაიპატიმრა და სამართალში მისცა დემონსტრაციის მონაწილენი. ამ მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად 16 იანვარს ტუნისში, ბიზერტაში, მატერსა და სხვა ქალაქებში გაიმართა მასობრივი დემონსტრაციები, რომლების დროსაც პოლიციამ სროლა აუტეხა დემონსტრანტებს. მარტო ბიზერტაში დაიჭრა 60 კაცი. ფრანგმა სამხედრო ხელისუფლებამ დაიპატიმრეს ტუნისის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელები. დაიპატიმრეს და ფარულად გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს ტუნისის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები, აგრეთვე ლიდერები ბურჟუაზიული პარტიის „ნეო-დესტურისა“, რომელიც ტუნისის დამოუკიდებლობისათვის იბრძვის.

18 იანვარს ტუნისელ მშრომელთა საყოველთაო კავშირის მოწოდებით დაიწყო საყოველთაო გაფიცვა. მთელ ტუნისში დაიხურა საწარმოები, მაღაზიები და დუქნები; შეწყდა ტრანსპორტის მუშაობა. გაფიცვის ჩასაშლელად საფრანგეთისა და ტუნისის პოლიციამ დაიწყო ხალხის მასობრივი აწოკება. გაფიცულთა აწოკებაში მონაწილეობენ ჯარები, აამოქმედეს ტანკები. ტუნისის ქალაქების ქვაფენილები უდანაშაულო მსხვერპლთა სისხლით მოირწყო. 18 იანვარს ქალაქ ბიზერტში მოკლულ იქნა 7 და დაიჭრა 16 კაცი.

ტუნისის ამბებმა დიდი შეშფოთება გამოიწვია საფრანგეთის მმართველ წრეებში. საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესაც კი იძულებული აღიარა, რომ ტუნისის მოსახლეობას ბევრი მიზეზი აქვს უკმაყოფილო იყოს კოლონიური რეჟიმის გამო, რომელიც მას საფრანგეთმა თავს მოახვია პროტექტორატის სახით. მაგალითად, „ბიზერი „მონდი“ წერს, რომ „ამ ამბების მიზეზია საფრანგეთის პოლიტიკით გამოწვეული გაუგებრობა“.

ტუნისის ამბები კვლავ ადასტურებენ, რომ ღრმავდება მსოფლიო იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის კრიზისი. შორეული აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხთა მოძრაობას, რომელნიც დაირაზმნენ იმპერიალისტების ბატონობის სრული ლიკვიდაციისათვის საბრძოლველად, უერთდებიან ახლო და შუა აღმოსავლეთის, აგრეთვე ჩრდილოეთ აფრიკის ხალხები. მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა მოძრაობა განამტკიცებს ანტიიმპერიალისტურ, დემოკრატიულ ფრონტს, მესამე მსოფლიო ომის გაჩაღების გეგმებს უფუშავს ამერიკა-ინგლისის ბლოკს.

მექრთამეობა და კორუფცია ამერიკის შეერთებულ შტატებში

უკვე დიდი ხანია, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი მექრთამეობისა და ხაზინის გაქურდვის აღმაშფოთებელი ფაქტების გამოაშკარავება ამერიკის პრესის ფურცლებზეც კი ალარ წარმოადგენს სენსაციას. 1951 წელი განსაკუთრებით მდიდარი იყო ასეთი „აღმოჩენებით“. შარშანდელი წლის განმავლობაში გამოირკვა, რომ პრეზიდენტ ტრუმენთან ახლომდგომ დიდი თანამდებობის მოხელეთა ჯგუფი ერია პირადი გამდიდრების მიზნით უხეშ გამოძალვასა და პირდაპირ თაღლითობაში.

განსაკუთრებით სკანდალური ხასიათისა იყო ეგრეთწოდებულ „ხუთპროცენტიანთა“ ჯგუფის მხილება. ეს ჯგუფი ტრუმენის დაახლოებულ პირთაგან შედგებოდა. სარგებლობდნენ რა მაღალი სამსახურებრივი მდგომარეობით, „ხუთპროცენ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

პოლიტიკურმა კომიტეტმა მიიღო რეზოლუციის საბჭოთა პროექტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხის შესახებ

პარიზი, 25 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). პოლიტიკური კომიტეტის სხდომებზე 24 და 25 იანვარს გრძელდებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხის განხილვა.

კენჭისყრის მოტივებზე მთელი რიგი ქვეყნების დელეგატების გამოსვლებმა ცხადყო, რომ ჩაიფუშა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ცდები პერუს დელეგატის დახმარებით გვერდი აევლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებებისათვის, რომლებიც განსაზღვრავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების პირობებსა და წესს, რათა ამერიკის შეერთებულ შტატებს შესაძლებლობა მისცემოდათ განეზორციელებინათ თავიანთი დისკრიმინაციული პოლიტიკა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიმართ.

ბევრი დელეგატი ირონიულად გამოთქვამდა აღტაცებას „იმ სიბრძნის“ გამო, რომლითაც პერუს დელეგატმა ბელაუნდემ თავისი პროექტი წარადგინა, მაგრამ აღნიშნავდა, რომ არსებითად ამ პროექტს არავითარი პრაქტიკული ღირებულება არა აქვს და ოღნავაც ვერ შეუწყობს ხელს იმ ჩიხის ლიკვიდაციას, რომელშიც უკვე რამდენიმე წელწადია იმყოფება საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების შესახებ იმის გამო, რომ ამ საკითხში ამერიკის შეერთებულ შტატებს მიუღებელი პოზიცია უკავიათ. ისინი აღნიშნავდნენ რომ შექმნილი ჩიხიდან გამოსავალს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესვლის მსურველი ყველა სახელმწიფოს განცხადებათა გადასინჯვა სრულიად უდისკრიმინაციოდ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მათი ერთდროული მიღება, ე. ი. ის, რასაც თავის რეზოლუციის პროექტში საბჭოთა კავშირი ემყარება.

დელეგაციების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ უარყო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის გროსის მიერ წამოყენებული თეზისი, თითქოს საბჭოთა წინადადება ყველა 14 სახელმწიფოს განცხადებათა ერთდროული გადასინჯვის შესახებ წესდებას ეწინააღმდეგება.

ემხრობიან რა განცხადებათა შემტანი ყველა იმ სახელმწიფოს ერთდროულად მიღების პრინციპს, რომლებიც აღნიშნული არიან საბჭოთა წინადადებაში, მაგრამ გამოდიან რა იმის წინააღმდეგ, რომ ეს სახელმწიფოები ჩამოთვლილ იქნან, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციასთან ერთად მოქმედ დელეგატებს მხედველობაში აქვთ, რომ უშიშროების საბჭომ განიხილოს აგრეთვე განცხადებანი ორი მარიონეტული რეჟიმის—კორეაში ლისინმანური რეჟიმისა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები უწოდებენ „კორეის რესპუბლიკის“ მთავრობას, და ბაო დაის რეჟიმისა, რომელიც საფრანგეთმა შექმნა ვიეტნამის რესპუბლიკის ტერიტორიის ფრანგთა ჯარების მიერ ოკუპირებულ ნაწილზე. სავსებით გასაგებია, რომ ასეთ წინადადებათა მიზანია ხელი შეუშალონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხის გადაჭრის, შექმნან ახალი ჩიხი ამ საკითხში.

პერუს რეზოლუციის ფაქტიური ჩაფუშვის გამო ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ ყველაზე მორჩილი თავისი მომხრეების, კერძოდ კოსტა-რიკის დელეგატის მეშვეობით, მიმართა ახალ მანევრს, რათა როგორმე გადაერჩინა მდგომარეობა. კოსტა-რიკის დელეგაციამ ცენტრალური ამერიკის ოთხი სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად სხდომის დასაწყისშივე შეიტანა რეზოლუციის ახალი პროექტი, რომელიც შეიცავდა წინადადებას, რომ გენერალურმა ასამბლეამ კვლავ მიმართოს საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო განმარტებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წევრების მიღების შესახებ რეკომენდაციების მიღებისას უშიშროების საბჭოში ერთხმივობის პრინციპის გამოყენების თაობაზე.

ამას მიაპყრო კომიტეტის უურადღება სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის მოადგილემ ი. ა. მალიკმა. მან აღნიშნა, რომ ასეთი წინადადების ავტორები ცდილობენ ერთი თავდასხმა კიდევ მუმატონ უშიშროების საბჭოში ერთხმივობის პრინციპის უთავლავ თავდასხმას, რასაც ამაოდ მიმართავენ მრავალი წლის განმავლობაში. ეს წინადადება წარმოადგენს პერუს იმ რეზოლუციის ჩაფუშვის შედეგს, რომელიც მისი ახალი, მნიშვნელოვნად შეცვლილი რედაქციითაც კი მიმართულია წესდებისა და უშიშროების საბჭოს და გენერალური ასამბლეის პროცედურის წესების წინააღმდეგ.

შემდეგ მალიკმა აღნიშნა, რომ რეზოლუციის ეს პროექტი შემოტანილია დაგვიანებით იმ მომენტში, როცა საერთო კამათი უკვე დამთავრდა და როცა დასასრულს უახლოვდება რეზოლუციების შემოტანილი პროექტების განხილვა. ამიტომ პროცედურის წესებისა და საერთოდ მიღებული წესის შესაბამისად ასამბლეის კომიტეტების მუშაობის ეს ახალი პროექტი არც განხილულ უნდა იქნას და მას არც კენჭი უნდა ეყაროს.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკითხი, სჯობია თუ არა განხილულ და კენჭისსაყრელად დასმულ იქნას რეზოლუციის ახალი პროექტი, განიხილება მას შემდეგ, რაც კომიტეტი დაამთავრებს რეზოლუციების უკვე არსებული პროექტების განხილვას და მათთვის კენჭისყრას.

ამის შემდეგ კომიტეტმა განაგრძო რეზოლუციების პროექტებისა და მათთვის შეტანილ შესწორებათა განხილვა. ინდოეთის, დანიის, ნორვეგიისა და ეგვიპტის დელეგატებმა განაცხადეს, რომ ხმის მისცემენ რეზოლუციის საბჭოთა პროექტს, რამდენადაც ეს არის ერთად-ერთი პროექტი, რომელიც სახავს პრაქტიკულ გამოსავალს ჩიხიდან, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხში წარმოიშვა. ზოგიერთი დელეგაცია არ დაეთანხმა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის თვალსაზრისს, რომ საბჭოთა პროექტი უარყოფილ უნდა იქნას, და განაცხადა, კენჭისყრაში თავს შეიკავებთო.

პოლიტიკური კომიტეტის 24 იანვრის დღის სხდომაზე გამოსულმა ი. ა. მალიკმა დაასაბუთა და განმარტა საბჭოთა დელეგაციის პოზიცია რეზოლუციების წარმოდგენილი პროექტებისა და მათთვის შეტანილ შესწორებათა მიმართ.

ჩემზე ადრე აქ გამოსული ზოგიერთი ორატორი, — თქვა მან,—კითხულობდა, რა აქვს მზედველობაში სსრ კავშირის დელეგაციას, როცა წინადადებას იძლევა რჩევა მიეცეს უშიშროების საბჭოს გადასინჯოს განცხადებანი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ სახელმწიფოთა მიღების შესახებ, რომლებიც ჩამოთვლილია საბჭოთა პროექტში. საბჭოთა დელეგაციის სახელით შემიძლია ვუპასუხო, რომ, როცა საბჭოთა დელეგაციას თავისი პროექტი შემოჰქონდა, მზედველობაში ჰქონდა და აქვს არა გადასინჯვა გადასინჯვისათვის, რადგან ასეთი „გადასინჯვა“ უკვე მეტად ბევრი იყო, არამედ ამ განცხადებათა გადასინჯვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ყველა ამ სახელმწიფოს ერთდროულად მიღების შესახებ უშიშროების საბჭოს დადებითი რეკომენდაციის მისაღებად. საბჭოთა დელეგაციას მზედველობაში აქვს, რომ უშიშროების საბჭო შესაძლებლად მიიჩნევს ურჩიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღებულ იქნას თოთხმეტივე სახელმწიფო, რომლებიც ჩამოთვლილია რეზოლუციის საბჭოთა პროექტში.

ამ 14 სახელმწიფოს, თქვა ი. ა. მალიკმა, არასრული გამოანგარიშებით, ჰყავს 112 მილიონზე მეტი მოსახლეობა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად ამ 14 სახელმწიფოს მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა რაოდენობას გაადიდებს 74-მდე, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაერთიანებული ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობა 112 მილიონზე მეტი კაცით გადიდდება.

შეეხო რა ხმის მისცემის წინააღმდეგ ამერიკის ბანაკის ქვეყნების ზოგიერთი დელეგაციის ბრალდებას, რომ სსრ კავშირი თავის რეზოლუციის პროექტში არ იხსენიებს სამხრეთ კორეის მარიონეტულ რეჟიმს, მალიკმა თქვა:

— ყველასათვის ცნობილია ჩვენი დამოკიდებულება ამ მარიონეტული რეჟიმისადმი, რომელიც შექმნეს ამერიკის სამხედრო ხელისუფლებმა და რომელიც ამერიკის ხიშტებს ეყრდნობა. მაგრამ ახლა არ მინდა შევეხო ამ საკითხს, რადგან პოლიტიკურმა კომიტეტმა მზოლოდ ამას წინათ მიიღო გადაწყვეტილება არ განიხილოს ჯერჯერობით კორეის საკითხი. ამ გადაწყვეტილების ინიციატორი და ყველაზე თავგამოდებული დამცველი იყო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ჩვენს კომიტეტში და არა სხვა ვინმე. სწორედ ის მოგვიწოდებდა არ შეეხებოდით კორეის საკითხს, რადგან, მისი მტკიცებით, ეს ხელს შეუშლის მოლაპარაკებს კორეაში სამხედრო დაზავების შესახებო. კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ განიხილოს ეს საკითხი, თუმცა ეს გადაწყვეტილება სწორი არ არის. ახლა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას, რომელმაც თავი აარიდა კორეის საკითხის განხილვას, და ჩაშალა მისი განხილვა, სამხრეთ კორეის მარიონეტული რეჟიმის საკითხი გამოაქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხის განხილვის დროს. გაინა ცხადი არ არის, რომ ამას სჩადიან, რათა ხელი შეუშალონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 14 სახელმწიფოს მიღების შესახებ საბჭოთა რეზოლუციის პროექტის მიღებას. ამიტომ საბჭოთა დელეგაცია გადაჭრით წინააღმდეგია იმ ცდებისა, რომ ახლა გამოიტანონ საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სამხრეთ კორეის მარიონეტული რეჟიმის მიღებისა, რომელიც უკანონოდ შეიქმნა და რომელიც კორეელი ხალხის წარმომადგენელი არ არის. საკითხის ასეთ დაყენებას ჩვენ ვერ დავეთანხმებით.

შემდეგ მალიკმა პუნქტობრივ განიხილა პერუს რეზოლუციის უკანასკნელი ვარიანტი და ცხადყო, რომ ეს დოკუმენტი არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს—არც პრაქტიკულს, არც იურიდიულს, არც პოლიტიკურს, რომ მისი მიღება არათუ ოდნავაც ვერ შეუწყობს ხელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხის გადაწყვეტას, არამედ, პირიქით, ხელს შეუშლის ამას.

პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა თავიანთ სიტყვებში აღნიშნეს, რომ მთლიანად და სავსებით უჭერენ მხარს საბჭოთა რეზოლუციის პროექტს, რომელიც იძლევა გარანტიას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წესდებით გათვალისწინებული პრინციპებისა და წესების საფუძველზე ახალი წევრების მიღების საკითხი სამართლიანად და კონკრეტულად გადაწყდეს.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა გროსმა კვლავ დაადასტურა თავის სიტყვაში, რომ მხარს უჭერს პერუს რეზოლუციას. მან კვლავ განაცხადა, რომ უარს ამბობს მიიღოს საბჭოთა წინადადება, რომლის მიზანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად ერთდროულად იქნას მიღებული 14 სახელმწიფო.

25 იანვრის დილის სხდომაზე პოლიტიკური კომიტეტი შეუდგა წარმოდგენილი და განხილული რეზოლუციების პროექტებისათვის კენჭისყრას.

დელეგაციათა მნიშვნელოვანი რაოდენობის მისწრაფებამ გამოეხატათ, ბოლოს, ახალი წევრების მიღების საკითხის სამართლიანი და პრაქტიკული გადაწყვეტა და იმის გაგებამ, რომ პერუს რეზოლუცია არ იძლევა ასეთი გადაწყვეტის საშუალებას, გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა რეზოლუციის პროექტის კენჭისყრით, პროექტისა, რომელიც რჩევას იძლევს უშიშროების საბჭოს გადასინჯოს ალბანეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ფინეთის, იტალიის, პორტუგალიის, ირლანდიის, ტრანსიორდანიის, ავსტრიის, ცეილონისა და ნეპალის განცხადებანი, აგრეთვე განიხილოს ლიბიის განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ.

ეს წინადადება და არგენტინის შესწორება, რომელიც სსრ კავშირის დელეგაციამ თავის პროექტში შეიტანა როგორც პრეამბულა, მიიღო პოლიტიკურმა კომიტეტმა. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამ პრეამბულის ტექსტში ნათქვამია: გენერალური ასამბლეა, „იმედს რა მზედველობაში, რომ ძლიერდება საყოველთაო მისწრაფება იმისადმი, რომ უნივერსალური გახდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელშიც წევრად შესვლა შეუძლია ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს, რომლებიც კისრულობენ წესდებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, და რომლებსაც, ორგანიზაციის აზრით, უნარი შესწევთ შეასრულონ ეს ვალდებულებანი და აცხადებენ, რომ მზად არიან ამისათვის“:

საბჭოთა ამ წინადადების წინააღმდეგ ხმა მისცეს მზოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი ყველაზე მორჩილი 11 სატელიტის დელეგაციებმა. ამ წინადადებამ მიიღო 21 ხმა (სსრ კავშირი, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, იემენი, საუდის არაბეთი, ერაყი, ირანი, ეგვიპტე, ლიბანი, სირია, შვეიცარია, დანია, ნორვეგია, ავღანეთი, ინდოეთი, ინდონეზია, ბირმა, არგენტინა, უუგოსლავია). 25 დელეგაციამ მათ შორის ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციებმა, ვერ გაბედა ხმა მიეცა საბჭოთა რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ, რათა საბოლოოდ არ გაეტეხათ სახელი როგორც ამ სამართლიანი პროექტის მოწინააღმდეგეებს, რომელიც ემყარება წესდებას და გამორიცხავს დისკრიმინაციულ მიდგომას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხის გადაწყვეტის დროს.

სხდომის დასასრულს გადწყდა, რომ საკითხი—უნდა განიხილონ თუ არა კოსტა-რიკის და ცენტრალური ამერიკის 4 სხვა ქვეყნის დელეგაციათა დაგვიანებული წინადადება, რომ უშიშროების საბჭოში ერთხმივობის პრინციპის გამოყენების შესახებ საკონსულტაციო დასკვნისათვის მიმართონ საერთაშორისო სასამართლოს, განხილულ იქნება მას შემდეგ, რაც პოლიტიკური კომიტეტი მოათავებს დღის წესრიგის შემდეგ საკითხს.

თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ მორიგ სხდომაზე კომიტეტი შეუდგება თავისი დღის წესრიგის მორიგი პუნქტის — გომინდანელთა ტყლისწამების განხილვას.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 26 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ, ამასთან ზარალს აყენებდნენ მათ ცოცხალ ძალისა და ტექნიკის მხრივ.

გუშინ აღმოსავლეთის ფრონტის ცალკეულ უბნებზე მოწინააღმდეგემ სამჯერ მოიტანა იერიში სახალხო არმიის პოზიციებზე, მაგრამ უკუგდებულ იქნა, ამასთან დიდი ზარალი ნახა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის 4 თვითმფრინავი იმ თვითმფრინავთაგან, რომელნიც მონაწილეობდნენ აღმოსავლეთის სანაპიროს რაიონებზე, უმთავრესად ვონსანის რაიონზე თავდასხმებში.

ფხენიანი, 27 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღეგანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე ეწეოდნენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ და ზარალს აყენებდნენ მათ ცოცხალ ძალისა და ტექნიკის მხრივ.

გუშინ აღმოსავლეთის ფრონტის ცალკეულ უბნებზე მოწინააღმდეგემ გააფთრებით დაბომბა ჰაერიდან და არტილერიის სროლა აუტეხა სახალხო ჯარების დაცვის წინა კიდეს და ცდილობდა იერიში მიეტანა მათს პოზიციებზე. სახალხო ჯარების ნაწილებმა უკუაგდეს მოწინააღმდეგე და ზარალი მიაყენეს მას.

გუშინ სახალხო არმიის ნაწილებმა დასავლეთ სანაპიროსთან კუნძულ დეკდოს რაიონში ჩაძირეს მოწინააღმდეგის ერთი ტრალერი, რომელიც ცდილობდა არტილერიის სროლა აეტეხა სანაპირო დასახლებული რაიონისათვის .

ეგვიპტის ამბები

კაირო, 26 იანვარი. (საკდესი). 26 იანვარს დილიდანვე კაიროში სუფევს აღშფოთებისა და მღელვარების ატმოსფერო, რაც გამოწვეულია ინგლისის აგრესიული მოქმედებით ისმაილიაში. დემონსტრაციები, რომლებშიც მონაწილეობდნენ მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლები, ინგლისისა და ამერიკის იმპერიალიზმის ხრიკების წინააღმდეგ აღშფოთებისა და პროტესტების ლოზუნგებით მიმდინარეობდა.

სამხედრო წესების შემოღება ეგვიპტეში

კაირო, 27 იანვარი. (საკდესი). გაზეთები „ალ-მისრი“ და „ალ-აჰრამი“ დიდი სათაურებით იუწყებიან, რომ ეგვიპტეში გამოცხადდა სამხედრო წესები და ეგვიპტის პრემიერ-მინისტრი ნაჰას-ფაშა დანიშნა ეგვიპტის სამხედრო გენერალ-გუბერნატორად.

პრესის ცნობებით, გუშინ საღამოს ნაჰას-ფაშამ მოიწვია მთავრობის რიგგარეშე სხდომა, რომელიც 3 საათს გაგრძელდა. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მთელ ეგვიპტეში სამხედრო წესების შემოღებისა და ნაჰას-ფაშის ეგვიპტის სამხედრო გენერალ-გუბერნატორად დანიშვნის შესახებ, აგრეთვე ყველა უნივერსიტეტსა და სკოლაში მეცადინეობის განუსაზღვრელი პერიოდით შეწყვეტის შესახებ.

მინისტრთა საბჭოს სხდომის დამთავრებისთანავე სამხედრო გენერალ-გუბერნატორმა ნაჰას-ფაშამ გამოსცა ბრძანება სოციალურ საქმეთა მინისტრის ჰასან-ფაშის გენერალურ ცენზორად დანიშვნის შესახებ, აგრეთვე ბრძანებები მუდირების (პროვინციების გუბერნატორების) სამხედრო გუბერნატორებად დანიშვნისა და 27 იანვრიდან კაიროსა და მის გარეუბან ჰაზაში საღამოს 6 საათიდან დილის 6 საათამდე საკომენდატო საათის შემოღების შესახებ.

როგორც გაზეთები იუწყებიან, ალექსანდრიის გუბერნატორმა უკვე, როგორც სამხედრო გუბერნატორმა გამოსცა ბრძანება ქალაქში 26 იანვრიდან საგანგებო წესების შემოღებისა და დემონსტრაციებისა და კრებების აკრძალვის შესახებ.

კაიროსა თუ სუეცის არხის ზონაში მომხდარი გუშინდელი ამბების შესახებ დღევანდელი გაზეთები არაფერს არ იუწყებიან. დღეს ბევრი გაზეთი არ გამოსულა. ქალაქში შეშფოთებაა.

ეგვიპტის ვაშინგტონის საელჩოს განცხადება

ლონდონი, 26 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ეგვიპტის ვაშინგტონის საელჩომ გუშინ საღამოს გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ინგლისის ჯარებმა, რომლებსაც ოკუპირებული აქვთ ისმაილია, „ვამოასხლეს ამ რაიონის მცხოვრებნი სახლებიდან, ამასთან გაუმართლებელი სისასტიკით მოქმედებდნენ. ისინი ქუჩებში ერეკებოდნენ ქალებს, ძარცვავდნენ სახლებს, სპობდნენ მათს პირად ქონებას და საკონცენტრაციო ბანაკებში გზავნიდნენ ქალებსა და ბავშვებს“.

ბირმის პრემიერ-მინისტრის განცხადება

პარიზი, 27 იანვარი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს კაიროელი კორესპონდენტის მტკიცებით, ეგვიპტელებმა გადაწვეს სასტუმროები „ვინძორი“ და „შეპერდი“, ბრიტანეთის ინსტიტუტის შენობა და ინგლისის საავიაციო კომპანიის „ბრიტიშ ოვერსიზ ეირუეის კორპორეიშნის“ კანტორა.

გომინდანელი გენერლის ღი მის ბანდიტური რაზმების თავდასხმა ბირმა—ჩინეთის საზღვარზე

ბანგკოკი, 27 იანვარი. (საკდესი). რანგუნიდან მიღებული ცნობებით, გომინდანელთა ჯგუფები ამერიკელ ოფიცერთა მეთაურობით ყოველდღე გადმოდიან ტალანდის ტერიტორიაზე გვალი, რათა კენტუნგში (ბირმა) შეუერთდნენ გომინდანელი გენერლის ლი მის ბანდიტურ რაზმებს.

გაზეთ „ბანგკოკ პოსტს“ ლონდონიდან მიღებულ ცნობაში მოჰყავს ბირმის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ გომინდანელთა ბანდიტურ რაზმებს კენტუნგში ემატებათ ძალები იმის შედეგად, რომ გომინდანელები ტაილანდზე გაელით გადუწყვეტლივ მიდიან მათთან კენტუნგის გზით. ბირმის წარმომადგენლის სიტყვით, ბირმაში გაქცეული 10.000 გომინდანელი კენტუნგის ბაზიდან თავს ესხმის იუნანის პროვინციის საზღვრისპირა რაიონებს.

გენერალი ლი მი ფორმოზაზე, გონკონგსა და ბანგკოკში იყო თავისი ბანდიტური რაზმების ახალი შევსების საძებრად.

ბელგიის პარლამენტში

ბრიუსელი, 24 იანვარი. (საკდესი). გუშინ ბელგიის პარლამენტში დამთავრდა მთავრობის დეკლარაციის განხილვა, რის შემდეგაც კენჭი უყარეს მთავრობისადმი ნდობის საკითხს. ვან გუტის მთავრობამ ნდობის ვოტუმი მიიღო ხმის უმნიშვნელო უმეტესობით, 103 ხმით 97 ხმის წინააღმდეგ, ორმა თავი შეიკავა.

კენჭისყრას წინ უძღოდა კამათი, რომელშიც ერთხელ კიდევ ცხადყო, თუ რა სერიოზული უთანხმოებაა პარლამენტის კათოლიკურ უმრავლესობასა და სხვა პარტიების დეპუტატებს შორის.

ინგლისელ ოკუპანტებს ისმაილიაში

რომი, 25 იანვარი. (საკდესი). 25 იანვარს დე გასპერი [illegible] ლესობამ მხარი არ დაუჭირა. ეს პირველი შემთხვევაა ოთხნახევარი წლის მანძილზე.

დეპუტატთა პალატაში კენჭი ეყარა სახელმწიფო მომსახურეთა ხელფასის იმ ახალი სატარიფო ქსელის შესახებ მთავრობის კანონპროექტის შესწორებას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა ამ კატეგორიას. მთავრობის კანონპროექტი მკვეთრად გააკრიტიკეს პარლამენტის მეტმა წევრმა ჯგუფებმა, მათ შორის ბევრმა ქრისტიანმა დემოკრატმა. იმ შესწორების წინააღმდეგ, რომელიც შეიტანა „იტალიის მშრომელთა პროფკავშირების კონფედერაციის“ კათოლიკური პროფკავშირული ცენტრის ხელმძღვანელობის წარმომადგენელმა, ქრისტიანმა დემოკრატმა კაპუჯიმ და რომელიც მოითხოვდა, რომ დაბალი კატეგორიების სახელმწიფო მოსამსახურეთა ხელფასის მომატება თვეში 2 ათას ლირაზე ნაკლები არ ყოფილიყო, გამოვიდნენ მთავრობის წევრები და ქრისტიან-დემოკრატთა ჯგუფის ლიდერი ბეტიოლი.

მიუხედავად ამისა, ამ შესწორებისათვის ფიქრელი კენჭისყრისას ოცი მიღებულ იქნა 228 ხმით 211 ხმის წინააღმდეგ ამ შედეგმა დაბნეულობა გამოიწვია მთავრობის ხელმძღვანელ წრეებში მით უმეტეს, რომ იგი დაემთხვა დე გასპერის პარიზს გამგზავრებას, რათა მონაწილეობა მიეღო მორიგ თათბირში „ევროპის არმიის“ შექმნის აღმით დასავლეთ გერმანიის შეიარაღების საკითხზე.

ფინანსთა მინისტრმა ვანონიმ და ქრისტიან-დემოკრატთა საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელობამ მოითხოვეს და კიდევაც მიაღწიეს ამ კანონპროექტზე შემდგომი დისკუსიის გადადებას მომავალ კვირამდე იმ საბაბით, რომ მიღებული შესწორება მოითხოვს ბიუჯეტით 11 მილიარდი ლირის დამატებითს ასიგნებას.

ბუნისის ამბები

პარიზი, 26 იანვარი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ ტუნისში მდგომარეობა კვლავ დაძაბულია. საფრანგეთის ჯარები, პოლიცია და ენდარმერია აძლიერებენ ოპერაციებს ტუნისელ პატრიოტთა წინააღმდეგ.

გაზეთი „ლუმანიტე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტუნისის ამბები დღითიდღე სულ უფრო იშვიათად მოდის. მაგრამ ის მცირე ცნობებიც კი, რომლებიც, მიუხედავად სასტიკი ცენზურისა, ჩვენამდე აღწევს, საშუალებას იძლევა ვამტკიცოთ, რომ ტუნისში კვლავ საალყო წესებია. ქალაქ ფონდუკ-ჯედიდში (20 კილომეტრზე ქალაქ ტუნისის სამხრეთით) გუშინ შეტაკება მოხდა მოსახლეობასა და პოლიციის შორის. მრავალი ინციდენტი და დემონსტრაცია მოხდა აგრეთვე ტებულსა და სახელში.

ღ ე ქ ტ ი ა

ხაჭართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 29 იანვარს საღამოს 8 საათზე ვოროშილოვის სახელობის კლუბში (რუსთაველის პრ. № 2) აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის, პროფესორ ნ. ა. ყიფშიძის საჯაარო ლექციას თემაზე: „მედიცინის ახალი მიღწევები შინაგან ნნეულებათა მკურნალობაში“.

ბილეთების წინასწარი შეძენა შეიძლება საზოგადოების რწმუნებულებთან. ლექციის დღეს —საღამოს 7 საათიდან სალაროში.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — სოციალისტური საკუთრება წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელია.

საგლოვიარო დეპეშები მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ჩოიბალსანის გარდაცვალების შესახებ.

მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში.

რუსთავის მეტალურგები მზარს უჭერენ მეფოლადე ს. იაკიმენკოს თაოსნობას.

საკავშირო ინფორმაციები.

მეორე გვერდი — „პრავდის“ 27-I მოწინავე — ავამღლოთ რაიონული გაზეთების დონე.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში. იტალიის მთავრობის ნოტა, რომელიც 1951 წლის 8 დეკემბერს გადასცა ელჩმა ბროზიომ. საბჭოთა მთავრობის ნოტა, რომელიც 1952 წლის 25 იანვარს გადასცა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ა. გრომიკომ.

კომუნიზმის დიად მშენებლობებზე.

მ. მაზანაშვილი — ტრაქტორებს — სანმოშორომტი.

მესამე გვერდი — შ. ბუაჩიძე — საქართველოს თეატრები 1952 წელს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტი

ჰონკონგში ინგლისელ ხელისუფალთა თვითნებობის წინააღმდეგ

პეკინი, 25 იანვარი. (საკდესი). სინხუას საგენტო გადმოგვცემს:

იმ სერიოზულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც შეიქმნა იმის შედეგად, რომ ჰონკონგის მცხოვრებ ჩინელებს კვლავ აპატიჟრებენ და აძევებენ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა:

გუანდუნის პროვინციის სახალხო მთავრობის ცნობათა, ინგლისელმა ხელისუფლებმა ჰონკონგში 1952 წლის 10 იანვარს დილის 4 საათსა და 11 საათს შუა ქალაქის ერთ-ერთ რაიონში ჯავშნიანი მანქანებით გაგზავნეს შეიარაღებულ პოლიციელთა და მაძებართა მნიშვნელოვანი რაოდენობა და უბრძანეს მათ გარს შემოერტყმოდნენ ჰონკონგში მცხოვრები ჩინელთა კინემატოგრაფიის რვა მუშაკის: სიმ ვენ-სენის, მა გოლიანის, ძი ვენ-შაოს, ლუ ძიუნის, შუ შის, იან ხუას, შენ ძის, დი ფანის სახლებს და დაეპატიჟრებინათ ეს პირნი. ინგლისელ პოლიციელებს შეეკითხნენ, თუ რამ გამოიწვია ასეთი მოქმედება. მათ უპასუხეს: „სრულიად არაფერმა. ჰონკონგის ხელისუფლებს თქვენი დაპატიჟრება შეუძლიათ, როცა კი მოისურვებენ“,—და აუკრძალეს დაპატიჟრებულთ თავიანთი ოჯახის წევრებთან ლაპარაკი და რაიმე ტანსაცმლისა და სხვა ნივთების წაღება, ემუქრებოდნენ იარაღით და აიძულეს სახლებიდან გამოსულიყვნენ. პოლიციის შტაბში მიყვანის შემდეგ ისინი ჯგუფ-ჯგუფად გაასახლეს ჰონკონგიდან.

იმავე დღეს და უფრო გვიან დაპატიჟრეს და გაასახლეს აგრეთვე ჩინეთის კინემატოგრაფიის მუშაკები ბაი ჯენი და ძიან ვეი, კოუ-ლუნის სოფელ დუნტოუს (სადაც ამას წინათ ხანძარი მოხდა) სახლკარდაშწვარ მოსახლეთა მთავარი წარმომადგენელი ლი ვენ-სინი, აგრეთვე ამ სოფლის მოსახლეობის მეორე წარმომადგენელი ჩან შენი და საფეიჭრო-სამღებრო მრეწველობის ჰონკონგის პროფკავშირის კოულუნის განყოფილების თავმჯდომარე სიან ბეი-ლინი და ამ განყოფილების მდივანი იაო ძიანი, რომლებიც მხარს უჭერდნენ ხანძრით დაზარალებულ სოფლის მცხოვრებთა მოთხოვნებს. ხანძრით დაზარალებული სოფლის დუნტოუს მოსახლეობის სახალხო წარმომადგენელთა კრების ხაზინადარი ფინ ძინი 16 იანვარს გაიტაცეს ჰონკონგის ინგლისელ ხელისუფალთა მაძებრებმა და მას შემდეგ მის შესახებ არავითარი ცნობა აღარ არის.

1951 წლის 21 ნოემბერს კოულუნის სოფელ დუნტოუში გამოიკვეთელი მიზეზით ხანძარი გაჩნდა, რის შედეგადაც დაზარალდა ამ რაიონის 16 ათასზე მეტი მცხოვრები. ხანძრის შემდეგ ჰონკონგის